5-40

ეროვნული
ბიბლიოთეკა
Пролет. всех стран, соед.
Социалист. Совет. Респ. Грузии
Нар. Вноз. Чиладьна Ревюма Грузии

ჯეჯილი

საუმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

№ VI

ივნისი, 1907

წელიწადი მეთვრამეტე

ტფილისი
ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, მიხეილის ქუჩა, № 65
1907

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს რა ჰქენი, შე საძაგელო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპილო ამხელს ქურდს.

არაჯი ჭეარავდა სპილოს საჭმელს. პატრონმა შეუტეო და გაუწურა. დარაჯი დიდ უარზე იდგა, ფიცულობდა რომ საჭმელს არ ვიპარავო. სპილო იდგა უძრავათ, თითქოს ეურს უგდებდა ამ ლაპარაკსო. მერე გასწია ოთახის იმ კუთხისაკენ, სადაც დარაჯის ჩასაცმელი იდო და დაიწეო ჩასაცმლის ბერტეა. ჩასაცმლის სარჩულიდან აუარება მოპარული ბრინჯი გადმოცვივდა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარა მწერსაც მოხერხება ჰქონია.

რთ პატარა ქალაქის სასტუმროში უნდა ღამე გამეთევებინა, მოგვითხრობს ერთი მოგზაური, შევედი თუ არა ოთახში საწოლი გამოვწიე შუა ადგილას, რომ ბაღლინჯოები*) კედლიდან არ გამოსულიყვენ და არ დამხვეოდენ. თვითონ რკინის საწოლის ოთხივე ფეხი წყლით სავსე ჯამში ჩაუდგი, რომ იატაკიდანაც არ ამოსულიყვენ. და ისე მივეცი ძილს თავი.

მაგრამ შუაღამისას ვიგრძენ, რომ ბაღლინჯოები დამეხვივენ და მწარეთ მკბენდენ. ავანთე სანთელი და დავიწყე თვალიერება. თურმე ბაღლინჯოებმა, რადგან ვერას გზით ვერ მომეკარენ, მოიფიქრეს კედლიდან ჭერზე ასვლა და როდესაც საწოლის თანაბრივ მივიდოდენ იქიდან ჰირდაპირ ძირს, საწოლზე დაეშვებოდენ.

ტასო.

(რუსულით)

---

*) იმერეთში კედლის ტილას ეძახიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფუტკარი და თამრო.

რთხელ ჩუმად ჩვენმა თამრომ
ფუტკრის სკასთან მიირბინა,
უნდოდა რომ თაფლის ხურით
ელი ჩაეკოკლოზინა.

—

გამოიღო კიდეც თაფლი,
გემრიელი, მეტად ტკბილი,
მაგრამ ეცა მას ფუტკარი
უცბად ისარ გამოწვდილი.

—

და სიბრაზით მან ნესტარი
ჭკრა, ზედ ცხვირზე დააჭირა
და ხირ ჩამტკბარ-ჩათაფლული
თამრო მწარედ ატირა.

—

თან ბზუილით მიამახა:
ახიაო შენზედ ავო,
თაფლის კვერებს ჩუმათ სკიდამ
აბა რისთვის იხარავო!

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიხსომე დღეის შემდეგ,
მოსვლა აღარ გაბედოვო;
უფრო ტკბილად შეგერგება
როცა ჩემ თაფლს დედას სთხოვო.

შ. მღვიმელი

(რუსულიით)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორი ბზრიალა.

ეტრე მესაათეს შვილი იყო, მარ-
დი როგორც სწავლაში, ისე თა-
მაშობაში. ის მშვენივრათ ათა-
მაშებდა ბზრიალას. ჰეტრეს
ჰქონდა ორი ბზრიალა, ერთი
დიდი, მეორე პატარა. ჯერ პირ-
ველათ დიდს დაატრიალებდა;
მერმე, როდესაც პირველი კარგად დატრიალდებოდა,
გაუშვებდა მეორეს, უფრო პატარას და მათრახის რტყმე-
ვით ატრიალებდა მას დიდის გარშემო. ეს ბზრიალა
თითქოს რგოლს სახავდა დიდის ირგვლივ.

პატარა ძმა ჰეტრეს შესცქეროდა და სიხარულით
ტაშსა სცემდა.

— უეურე, დიდი ბზრიალა ვითომ მზეა, სთქვა
ჰეტრემ, პატარა-კი, რომელიც მის გარშემო ტრია-
ლებს — დედა-მიწაა. ჩემი დიდი ბზრიალა რომ მზე-
სავით სსივიანი იყოს, პატარა ბზრიალას ხან ერთი
მხარე ექნებოდა განათებული, ხან მეორე, რომელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარეც მზისაკენ არის მიქცეული—იმ მხარეზე დღე იქნებოდა. მეორეზე კი, გაუნათებელზე—ღამე. აქედან ვე წარმოსდგება საათი, დროს მახვენებელი. მაძა ჩვენს დროს გასაგებათ აქვს ჯიბის და კედლის საათები. დედა-ძიწა და მზე, აი ორი დიდი ბზრიალა, რომელნიც ტრიალებენ ცის სივრცეში, იგინი არაფოდეს არა ჩერდებიან.

ვატარა ძმა ეურს უგდებდა ვეტრეს.

ორივენი დიდის გულდასმით უეურებდენ ბზრიალებს, რომელნიც ტრიალში თითქოს იზრდებოდენ.

ვეტრეს უსაროდა, რომ ასე ადვილათ, თამაშობის დროს შესძინა ძმას საჭირო ცოდნა.

შურა.

(ფრანგულიდან)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ნუ გვულეტავთ, ბავშვებო, შეგვიბრალეთ!“

(ესკიზი)



ჩვენ ბატარა, წვრილ-ფეხა ფრინველები ვართ! გთხოვთ, ბავშვებო, ნუ გვქლეტავთ, ნუ გვანადგურებთ!

ჩვენც, თქვენებრ ბუნების შვილნი ვართ. ჩვენც სიცოცხლის მოტრფიალე, მოსიყვარულენი ვართ. ბუნებას ჩვენთვისაც ისე მოუნიჭებია ეს სიცოცხლე, როგორც თქვენთვის ..

რა ვუყოთ, რომ ჩვენ ასე ბატარა ქმნილება, წვრილ-ფეხა არსებანი ვართ!. სიცოცხლე ხომ ყველასათვის ტკბილია. სიცოცხლის შესარჩენათ ყველა სულდგმული ცდილობს, ფათურობს... უნცროს-უფროსობა თვითონ ადამიანმა გაარჩინა. თავის გონების შემწეობით დაწინაურდა, გაბატონდა და ყველა ჩვენ, უენო სულდგმულნი დაგვიმორჩილა, დაგვიმონა, ოორემ უზენაესმა ძალამ ყველას საერთოთ მოგვივლინა მზე და მთვარე, ცა და დედა-ძიწა თავის სიმდიდრით, ტურფა სილამაზით...

ჩვენც, თქვენებრ, შევსარით ნორჩს და კოჭწია გა-

ზაფხულს.. ჩვენც, თქვენებრ, ვწუხვართ და ვიტან ვ-
ვით სიცივისა გამო ცივ და სუსხიან ზამთარში... ჩვენც
გაჭირვების დროს ვტირით და დალხინების დროს
ვმხიარულობთ, ვიცინით!.. ნუ თუ არ გახსოვთ ახალ
გაზაფხულზე ჩვენი ჭიკჭიკი, ტკბილი გალობა, ცის
სივრცეში ნავარდი და მხიარული ჟრიამული!... ზამ-
თარში კი—წუწუნი, სახლების ფარდულში, ღობის
ძირში ბინის ძებნა და ძრომა წრიპინი.

თქვენ ეგებ გვონიათ, რომ ჩვენ თქვენ საძხია-
რულოთ და სასიამოვნოთ ვიყოთ გაჩენილი?.. არა.
თუ ამას ფიქრობთ, შემცდარი ხართ, ჩვენო ჰატარა
მტრებო! ბუნებამ ყველას თავისუფალი ცხოვრება მი-
ანიჭა... ვისაც როგორ სურს ისე უნდა იცხოვროს,
ისე მოაწყოს თავისი ცხოვრება და ადიდოს თავისი
გამჩენი...

დღეს თუ ადამიანს, ჩვენ წვრილ-ფეხა არსებანი
დამონებული ვყოფვართ, ეს კიდევ არ გვისჯობს იმ
იმედს, რომ ჩვენი მონური ბორკილებიც დაიმსხვრე-
ვა და თავისუფალ ქვეყანაში ჩვენც თავისუფლათ ვიც-
ხოვრებთ. მაშ, რას გვერჩით, რას გვემტერებით?. რა-
ტომ არ გეცოდებით, როცა ნორჩ სიცოცხლეს გვის-
ჯობთ სულ ტეუილათ, უდანაშაულოთ და შეუბრალებ-
ლათ გვჟლეტავთ!..

ჩემს დღეში არ დამავიწყდება ერთი შემთხვევა...
ჯერ სულ ნორჩი ბარტყები ვიყავით. სოფლის გა-
ნაპირა ბუჩქნარ ტეეში, მუხის ერთ ბოღოროში ჩემს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობლებს ოჯახობა გაემართათ... ჩვენ—ხუთი შვილი ვუავდით და შემლებისა და გვარად გვზრდიდენ-გვიყვლიდენ... მათ მხიარულობას საზღვარი არ ჰქონდა... დილიდან საღამომდის საზრდოს გვიზიდავდენ, დედა უბეში გვიმეჯრენდა, გვეალერსებოდა, მამა კი იქვე ხის ტოტზედ იჯდა და ჭიკჭიკით გვართობდა.

მიდიოდა ასე დღეები... ჩვენ ბუმბლით თანდათან ვიმოსებოდით. ფრთები დღითი-დღე გვეზრდებოდა და ბუდიდან გადაფრენასაც დღე დღეზე ველოდით...

როდესაც ეს დედამ შეგვატყო—გაგვიწყრა, არ მოგვიწონა. გვითხრა:—ჯერ ოჯახს არ მოშორდეთ, არსად წახვიდეთ! თქვენ ჯერ ნორჩი ხართ, თავისუფლებით ვერ ისარგებლებთო... ჯერ მე გამიგონეთ, თქვენ ბევრი მტერ-მოუვარე გეყავთ. მოვა დრო იმათ გაგაცნობთ, ფრთები წამოგეზრდებათ, ღონე მოგემატებათ და მე თვითონ შეგაჩვევთ ლუკმა ბურისათვის ზრუნვა-შრომასო.

მუდამ დღე დედა ასე გვარიგებდა, მაგრამ თავისუფლად ჰაერში ნავარდი, ცელქური ხტუნვა, ცანცალი მოსვენებას არ გვაძლევდა... ერთ დილას, როცა დედა საკენკის საშოვრათ სადღაც წასულიყო, თავი გადმოვყავ ბუდიდან და რაღაც ტანის სიმჩატე ვიგრძნე. გავშალე ფრთები, შემოვკარ ერთმანეთს და უცებ ჰაერში გავჩნდი...

ოოხ ნეტარებავ! რა ვიგრძნე, რა ვისიამოვნე! წმიდა, ფაქიზი ჰაერი, თვალ უწვდენელი სივრცე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამ-კამი მოწმენდილი ცის კამარა და ამ ლიდებულ სივრცეში ფრენა-ქრიალი!

ნეტარება იყო, ნეტარება! მაგრამ ეოველგვარ სიამოვნებას უსათუოთ მტრათ კუდში მისდევს უსიამოვნებაც და ნახეთ, ეს მშვენიერი თავისუფლებით სავსე სიამოვნებაც დამწარდა-დამიშხამდა.

წინეთ ღონივრათ და მალ-მალე ვშლიდი ბატარა ფრთებს...ჭაერს უფრო ადვილად ვაბობდი და მაქოს მსგავსად მივსრიალობდი ცის სივრცეში... შემდეგ თან და თან ვუკელი და ბოლოს თითქმის მხრების განძრევაც ვეღარ მოვასერხე...

ვგრძნობდი, რომ რაღაც უბედურობა თავზე მატყდებოდა... ვფიქრობდი ეს რა მემართება მეთქი, მაგრამ ისევ თავს იმედს ვაძლევდი და ვმხნევდებოდი...

რაც დრო გადიოდა ისე უფრო ვატეობდი, რომ ჭაერს ვეღარ ვერეოდი... თან და თან ძირს ვეშვებოდი და ცოტა ხნის შემდეგ, ტეის გვერდით ბუჩქებში ჩავარდი...უცებ „ჩხიტ! ჩხიტ! შევძახე და დედ-მამა, ძმები და ნათესავები ახლა გამახსენდა... კიდევ შევძახე „ჩხიტ! ჩხიტ! მეთქი და საიდანღაც გამოურკვეველი, უცნაური ბასუხი მოეესმა...—ჩხიტ! ჩხიტო!! ვიფიქრე დედა, ან ჩემი ძმები იქნებიან მეთქი და რაც ძალი და ღონე მქონდა მოვიკრიფე და რამოდენიმე ნაბიჯზე გადავფრინდი, ისევ ბუჩქებში ჩავიჩეხე...ჩხიტ! ჩხიტ! ახლა უფრო ახლოს მოეესმა ეს ხმა და სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარულით გული ამევსო.. მივეცი კიდევ მეც ... ხი და მიუახლოვდით ერთმანეთს...

ვეჩქარებოდი მალე, მალე მენახა დედა ჩემი და სიყვარულით გულ-მკერდში ჩავკროდი. დამერწმუნებია, რომ კვლავ, მის დაუკითხავათ არსად, სულ არსადაც ფეხს არ გადავადგამდე, მაგრამ ვაი, რომ ჩემი ოცნება არ გამიმართლდა!.. დედის მკერდში ჩასასუტებლათ გაქანებული ჩვენ ბატარა მტარვალის, ვანოს, ხელში ჩავარდი...

მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგიერ მე შხამით სიცოცხლე მეწამლებოდა.

ორ დღეში მშვენიერი გალია გამიკეთეს და შიგ დამამწყვდიეს...

სატუსაღომ თავისი დაღი დამასო... არც ზრდა, არ ფერ-ხორცი მე ადარ მქონდა. დიდ-ხანს გავატარე ამ ტანჯვაში...

ერთხელ გალიის კარი ღია დარჩენოდათ. უცებ თავი გამოვეყავ და ისევ თავისუფლება ვიგვრძნე... ჩემს თავს არ ვუჯერობდი... გავარდი, გადავიკარგე შორს, ძლიერ შორს ამ ადგილიდან... მჭონა სხვა ადგილას უფრო კეთილი ბავშვები იქნებიან მეთქი, მაგრამ აქაც მოვსტეუვდი... სადაც არ წავედი ბატარა ბიჭები ყველგან მტრულის თვალით მიეურებდენ... ვერსად იმათი გული ვერ მოვიგე..

მერე? ნეტავი დამეშავებიოს რაშე?! ნეტავი რაიმე წამეხდინოს მათთვის?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე ტეუილათ, ასე უბრალოთ გვდევნიან, გვქლეტენ და გვანადგურებენ.

ჩვენ-კი, წვრილფეხა უენო, სულდგმულებს რა შეგვიძლია გარდა თვალ-ცრემლიანი თხოვნისა: რა დაგვიშავებია, რას გვერჩით! ნუ გვქლეტავთ, ბავშვებო, შეგვიბრალეთ!..

თეოფ. ხუსკივაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიძია კლაუსი და მისი ერთგული მეგობრები.

(აზრი გერმანულიდან)

იყო ერთი ღვთისნიერი განდეგილი, რომელსაც ხალხი „ბიძია კლაუსს“ უწოდებდა. ტყის ჰირად, ერთ დიდ მუხის ქვეშ, აეშენებია ჰატარა ქოხი; ამ ქოხში ბიძია კლაუსი და მისი სამი მეგობარი—ძელა, გარეული კატა და კურდღელი ცხოვრობდენ. ესენი ბიძია კლაუსს ჰატარაობიდანვე ჰყვანდა აყვანილი და ისე შესჩვეოდენ ერთმანეთს, როგორც და-ძმანი: საჭმელსაც კი ერთის ჯამიდანა სჭამდენ. ბიძია კლაუსი მაინცა და მაინც ღარიბულათ არა ცხოვრობდა: მის მახლობლათ მცხოვრები გლეხები უხვად უზიდავდენ ყველაფერს, რაც-კი მისთვის საჭირო იყო. რასაკვირველია, მოტანილი წილი ამ სამ მეგობარსაც ხშირად ერგებოდათ ხოლმე: ბიძია კლაუსი მათ არაფერს აკლებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ დადგა ცუდი დრო. სეტყვამ და უძინ-
დობამ სულ გააფუჭა მოსავალი, და გლეხების ძღვენ-
მაც თან და თან იკლო. სოფლებში რომ შიმშილობა
ჩამოვარდა, საწყალი კლაუსი იძულებული გახდა ტეის
ხილით და სხვა და სხვა ბალახეულობით თავი ერჩინა.
მაჟალომ და კურკანტელამ სრულიად დაასუსტა ისე-
დაც მოხუცებულობისაგან დასუსტებული ბიძია კლა-
უსი. ბიძიას გაჭივრება მხეცებმაც იგრძნეს. ამ გაჭირ-
ვების დროს ყველაზე უფრო კარგს მდგომარეობაში
კურდღელი იყო. გარეშემო ტეესა და მინდორში
ბლომად იყო სხვა და სხვა ბალახი, და კურდღელსაც
მეტი რა უნდოდა! მელასა და კატას კი შიმშილმა
კუჭი აუწვა და შურის თვალით უცქეროდნენ გასუ-
ქებულ კურდღელს

ერთ დღეს, როდესაც კურდღელი ტეეში საძოვ-
რად წასულიყო, მელა და კატა ბიძია კლაუსთან შე-
ვიდნენ.

— ძვირფასო მამაო,—მოახსენა ცბიერებით მე-
ლამ: შენი ამნაირი ცხოვრება ეოვლად აუტანელია.
რამდენი ხანია შენ რიგიანი საჭმელი არ მიგირთ-
მევია; შესედე შენს მუსლებს, სისუსტისაგან როგორ
გიკანკალებენ! ურიგო არ იქნებოდა, ჩვენი ეურცქვი-
ტა დაგვეკლა და შენთვის შეგვეწვა; მისი მსუქანი და
გემრიელი ხორცი უეჭველად მოუხდება შენს დასუს-
ტებულს აგებულობას. . კურდღლის დანიშნულობაც
ხომ ეს არის!“

ასე ესაუბრებოდა მელია ბიძია კლაუსს. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიძიას ასეთი წინადადება არ მოეწონა და ძლიერ გაუწყრა.

— დაიკარგე აქედან, შე ბოროტო!—უთხრა გაგულისებულმა ბიძიამ: განა კურდღელი და თქვენ ერთნი არა ხართ ჩემთვის?! განა თქვენ სუფველანი ჩემი დაზრდილები არა ხართ! ალარ გამაგონოთ არაფერი მაგისთანა, თორემ მიფრთხილდით!

ახლა კატამ აამაღლა ხმა და მორიდებით მოახსენა:

— შენი სიტყვა, ჩვენო მფარველო, ზეციურ ხმას მომაგონებს... მაშინ რას იტყვი, რომ კურდღელმა თვითონ ისურვოს შენის დღეგრძელობისათვის თავის შეწირვა?

— მაშინ, რასაკვირველია .. სთქვა ბიძია კლაუსმა: მაგრამ მე არა მგონია, რომ კურდღელმა ეს ისურვოს:

ამ პასუხით გაისტუმრა მან მხეცები.

მეორე დღეს ბიძია კლაუსმა, პირი რომ დაიბანა, ილოცა და სახლის წინ ქვაზე ჩამოჯდა, მელა და კატა ხელმეორეთ მოვიდნენ მასთან და კურდღელიც მოიყვანეს.

მელიამ ისევ ტკბილად დაუწყო საუბარი ბიძია კლაუსს: „ბიძია, შენ იყავ თავიდანვე ჩვენი პატრონი და მფარველი, შენ უკანასკნელ ლუკმასაც კი გვიზიარებდი ხოლმე! აი, ამიტომაც ჩვენ მოვალენი ვართ, შენ ამ გაჭირვებიდან გიხსნათ, რომ უდროოთ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგვეკარგოს შენი მვირფასი თავი და ნუგეში. სანა-
რონა, შენ ხორცით იკვებებოდე. მომეცი ნება, რომ
ჩემი თავი შემოგწირო! აი, ვდგევარ შენს წინაშე სა-
მსხვერპლოთ გამზადებული! რაც გინდოდეს, ის მი-
ქავ!..

მელას შემდეგ კატამ დაიწყო:

— ძმაო, შენ გიჟი ხომ არა ხარ!? სთქვა კა-
ტამ: ნუ თუ არ იცი, რომ მელიას ხორცი ეოვლად
საძაგელი საჭმელია! ხომ არ გინდა, ჩვენი მფარვე-
ლი უდროოთ საიქიოს გაისტუმრო?!.

მელიამ მწუხარებით ამოიხვნეშა.

ბიძია კლაუსმა მადლობა გადუხადა და აღელვე-
ბულის ხმით უპასუხა: „იცოცხლე მრავალს წელს,
ერთგულო მეგობარო და მხიარულათ გაატარე შენი
დღენი!“.

კატამ სთქვა: „თუ მაშ საქმე ასეა, მე დიდის
სიამოვნებით გწირავ ჩემს თავს, ჩვენო მფარველო;
მიიღე ჩემი თავი მსხვერპლათ, გეყოფა ამას!“

— ერთი ამას უეურეთ!—წამოიძახა მელიამ:—
ნუ თუ შენა გგონია, რომ შენი ხორცი ჩემს ხორცზე
უკეთესი იყოს, შე, მჩხავანა შენა! არა ჩემო ბატონო,
ამ თაგვი-ჭამიას ხორცი მეტად საძაგელია და შენ ეს
სრულიად არ გეჭმება!

— კარგი, კარგი, ჩემო მეგობარო,—სთქვა ბიძია
კლაუსმა: სულით და გულით მოძღვნილი მცირედიც
შეიწირების! მე შენ თავს მსხვერპლათ არ ვღებუ-
ლობ!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურდღელიც, რომელიც ამ ამდის გაჩუმებული ეურებდათ არ ჩამორჩა თავის ამხანაგებს, წამოდგა წინ და მოახსენა

— მართალია, მე სულ ბოლოს მოვექეცი, მაგრამ ნუ იფიქრებ, რომ ჩემი სიყვარული უფრო ნაკლები იყოს, ვიდრე ამ ჩემის მეგობრებისა! მოძირთმევია შენთვის ჩემი თავი, ჩემო მფარველო; მე სიამოვნებით გწირავ ჩემს თავს!

ბიძია კლაუსმა თვალზე მორეული ცრემლი სახელოთი მოიწმინდა, კურდღელს ეურებში სელი წაავლო, ასწია მაღლა და სთქვა: „იყოს ნება შენი, ერთგულო მეგობარო!“

შეიყვანა კურდღელი საძსარეულოში და ჰატარა ხანს შემდეგ ბიძია კლაუსი ისევ გარეთ გამოვიდა და გასისხლიანებული კურდღლის ტყავი ღობეზე გადაჭიდა.

ბიძია კლაუსს თვალები ცრემლებით ევსებოდა და სახეზე საშინელი მწუხარება ეტყობოდა.

ვახშმათ და მეორე დღეს სადილათ ბიძია კლაუსი კურდღლის ხორცს მადიანად მიაძღა. არც ჩვენს ორ მეგობარს დაჭკლებიათ-რა: ისინი დიდის სიამოვნებით შეექცეოდნენ იქვე ახლოს კურდღლის გემრიელ ძვლებსა.

თ. ზიარელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ ზრდიან პირუტყვები თავიანთ შვილებს.

მგლის შვილები.

ათავდა ზამთარი — გათავდა ქარიშხალი, ქარ-ბუქი და ყინვები, დრო-ა ოჯახის მოწყობაზე იზრუნოს პირუტყვმა. განსაკვირალია, დიდ-ზამთარში, როდესაც ყველას ეშინია გარეთ ცხვირის გამოყოფა, თვით დათვსაც კი ეშინია კარში გამოსვლა, მგელი დაწანწალობს მარტო, უსახლკარო.

გათბა და ეოველი პირუტყვი სოროს სტოვებს, გარეთ გამოდის, მგელი-კი დარბის და ეძებს ისეთ ადგილს, სადაც შეიძლება სოროს გაკეთება. განსაკვირალი არ არის ეს: თავისთვის კი არ ეძებს მგელი სოროს. მარტი ახლოა, მალე შვილები ეყოლება მას, და მათთვის უნდა მოსძებნოს ჩუმი და მეუდრო ადგილი. მგლისათვის სულ ერთია, სადაც უნდა გაატაროს ღამე, მას არ ეშინია არც სიცივის, არც მტრის. პატარაები კი სულ სხვა საქმეა, ფეხები სუს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტი აქვთ, გაქცევა სად შეუძლიათ, ის კი არა-დედას-თან დიდის გაჭირვებით მიტორტყამენ.

სადმე ღრმა ხევში, გადაკარგულ ტეის კუთხეში გაიკეთებს მგელი სოროს, მოფენს თივით, ფოთ-ლებით, — აი ლოგინიც მზათ არის.

აპრილში, იშვიათათ მარტის დამლევში დაიბადე-ბიან მგლის შვილები, რა ნაზათ უვლის მათ დედა, რომელიც ანადგურებს მათთვის კურდღლებს და ხბოებს. დედა ახლა იშვიათად სტოვებს სოროს.

მგელს-დედას გაუჩნდება 3—8 პატარა შვილები; იშვიათათ ეყოლებათ თორმეტი ერთათ. ლეკვებსავით მგლებიც იბადებიან ბრმები და აბა სად შეუძლია დე-დას დასტოვოს ამდენი შვილი და ისიც თვალ-აუხი-ლავი. კიდევ კარგი მამა ახლოა და თუ რამე უბე-დურება მოხდა, მაშინათვე მოირბენს.

ათი-თორმეტი დღის შემდეგ პატარები გაახელენ თვალებს. დედას ძლიერ უძნელდება მათი მოვლა, მაგრამ მამა ეხმარება, ხან ლეშს მოუთრევს, ხან ნადირს დაიჭერს და მოუტანს.

წამოიზარდენ ცოტა მგლის შვილები, გაღო-ნიერდეს, დედას შეუძლია ხოლმე დასტოვოს იგი-ნი, თუმცა დიდი ხნით ვერ მიანებებს, საშიშია. შო-რიდან რო შეხედოთ პატარა მგლების თამაშს იფიქ-რებთ ლეკვები არიანო.

ჯერ კიდევ პატარები არიან და ბევრს ვერ თა-მაშობენ, უმეტეს დროს ძილში ატარებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიდა ერთი თვე. დროა ახლა დედამ ხორცის ჭამას შეაჩვიოს, ამისთვის უნდა იშოვნოს ხორცი, და ეს ადვილი საქმე არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მეზობელს ვერასფერს ვერ მოსტაცებს, საშიშია, მოთმინებიდან გამოვა და გაგინადგურებს სოროს. შორს უნდა წავიდეს საშოვნელათ.

დედა ამლევს პირველ გაკვეთილებს. დაჭერილ პატარა ნადირს—მაგალითათ კურდღელს ან თაგვს ფრთხილათ მოათრევს სახლში, არ მოჰკლავს, ასეა საჭირო სწავლისათვის. პატარა მგლებს უსარიათ და თამაშს იწყებენ მასთან, ხან ეურში ეცემიან, ხან კუდში. კანკალებს კურდღელი, გაპარვა უნდა, აი ქეც გადახტა, მგლები გაეკიდენ და წააქციეს.

გლახათ გათავდება ეს თამაში კურდღლისათვის.

ზაფხულის დამლევს ამათ ნადირობაც შეუძლიათ.

შესწავლილი აქვთ ყველა ხერხი, რომელსაც თავის საშველათ დაჭერილი მსხვერპლი იხმარს. იციან, როგორ უნდა ეცენ ნადირს, სად დააგლონ კბილები, როგორ წააქციონ, ერთი სიტყვით რაც საჭიროა ნადირობის დროს.

დროა სანადიროთაც წაიყვანონ.

შემოდგომა დადგება და დაიწყება ნადირობა. ერთი წლის მგლები კარგად მოღონიერებულნი არიან, თუმცა ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ მოძებნას, სად არის ნადირი. ერთი წლის განმავლობაში ამასაც კარგათ შეისწავლიან, დედაც დაეხმარება, და საქმე სულ კარგათ წავა.

დედა-მგელი ჩაიმალება ბუჩქებში, შვილები გამოეკიდებიან კურდღლებს და მოდენიან იმ ადგილს, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც დამალულია დედა. მიფრინავს კურდღელი, ფიქრობს
რობს ვუშველი თავს, გადავრჩები ამ უბედურებაზ, ძა-
გრამ, დახე იღბალს, მგლებმაც თავი დაანებეს, დაი-
ღალნენ და აი ამ დროს გამოსტა დედა, რომელიც
იქვე დამალული იყო და დაიჭირა კურდღელი.

შემოდგომაზედ ქურდობა იწყებს მგელი. რა ჭქნას,
თუ არა მოიპარა რა ვერ გასტანს, მოკვდება შიმში-
ლით. უსორცოთ სიცოცხლე შეუძლებელია მისთვის.
მისი კუჭი ვერ იტანს ბურს, ბალახს ან შიმშილით
უნდა მოკვდეს, ან იქურდოს.

დიახაც საშიშია ქურდობა: ან კეტით დაგბეგვა-
ვენ, ან თოფით მოგკლავენ, ან ძაღლებს მოგასევენ.

განა სანატრელი არ არის დათვის ცხოვრება?
რა ბედნიერია! მისი კუჭი ყველაფერს აიტანს—
ბურსაც მიირთმევს, ხის ფოთლებსაც, თაფლზედაც
უარს არ იტყვის და ამ რიგად გამოძღება.

მგელი კი... ის თავის შვილებს თვითონ ასწავ-
ლის, როგორ უნდა მოიტაცონ შინაური ბირუტყვი.

აი რას გვიამბობს ერთი კაცი, თავის თვალით
ნახულს:

„ტყიდან გამოვარდა უშველებელი მგელი და და-
ავლო კბილი ერთ კრავს, რომელიც მოშორდა თავის
ჯოგს. მგელს დახვდა მისი შვილი. დედამ გადასცა
კრავი. ძირბიან ორიევნი. მწყემსმა დაინახა, რომ
მგელმა კრავი წაართვა და დაედევნა ძაღლებით ქურდებს.
წინ გადაშლილი იყო მინდორი, რომელიც თავდებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაბურულ ტეით იქით მირბოდენ დედა და ძმა-ლი. მინდორიც გათავდა, როდესაც გამოჩნდენ ძაღ-ლები, ახლა კაი დრო იყო უშველოდ თავს. დედამ გამოჰგლიჯა შვილს კრავი, გადიგდო ზურგზე და გა-ექანა. შვილიც არ ჩამორჩა დედას".

ზამთარი მოვა და დაიწყებენ წანწალს მგლები. რა ადგილებს არ მოივლიან, ბევრ რასმეს ნახვენ ახალგაზრდა მგლები, ბევრ რასმეს ისწავლიან, ბევრ ხერხს და ეშმაკობას შეითვისებენ დედ-მამისაგან ამ მოგზაურობის დროს.

ა. ფ—სი.

სახუმარო გასართობი

დახეთ ამ ბუხრის მწმენდელებს, გამოსულან სამასხაროთ, მარჯვეთ ხტიან, გვიჩვენებენ ოინებსა. ნეტა თუ დაღალულნი არ არიან?



ეროვნული ბიბლიოთეკა

რგოლები და კიბეები ეხმარება მუშაკებსა, მანჭვით გვაცინებენ კლაკნით გეგონებათ გველებია. ერთობ სასაცილო სანახავია.



გ ა მ ო ც ა ნ ა.

(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილისაგან)

პატარა ვარ უჩინარი, ყველასათვის უწყინარი,
ჩემი ხმა კი ყველას მოსწონს—ღარიბია თუ მდიდარი.

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი თ. ბოლქვაძისაგან).

პირველს ხმარობს ლაპარაკში ზოგიერთი იმერელი,
მეორეა—სოფლის გლეხის იმედი და საყვარელი;
მთელი არის თვალ-უწვდენი და უკვდავი რამ საგანი,
ვერ ვიპოვეთ მისი კიდე, ვერც გავზომეთ მისი განი.

ა ხ ს ნ ა

გამოცანა: დათვი. **შარადა**: სიმინდი.

შარადა ახსნა ალაგირის ქართული სკოლის მოწაფემ ისიდორე მეტრეველმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუჩიდ.

ალაქ ქ-ის ერთ ვიწრო ქუჩაზე ერთი დიდი და მაღალი სახლის კარები ხმაურობით გაიღო და სახლიდან ქუჩაზე — პატარა ბავშების მხიარულმა გროვამ ჟივილ-ხივილით ვამოხეთქა.

— არ იქნა და არა, ვერაფრით ვერ შეაგონა ადამიანმა, რომ ასე ღრიალით ქუჩაზე გამოსვლა დაშლილია! — გულმოსულათ წამოიძახა ახალგაზდა, ფერმკრთალმა ქალიშვილმა, რომელიც, რვეულებით ხელში, ბავშებს უკან გამოჰყვა. — ჩუმათ, გესმისთ, წყნარათ! — შემოუძახა მან ბავშებს, რომელნიც, ამასობაში, იქით-აქეთ, თავ თავის გზაზე იფანტებოდენ.

— ეჰ, მოგცლია! თავი დაანებე, კატო! — შეაჩერა პირველი ქალიშვილი მეორემ, რომლის ახალგაზდა, შავგვრემან სახეს ორი დიდი, ნათელი და მხიარული თვალი აშუქებდა. — ირბინონ, იყვირონ, ითამაშონ, იმხიარულონ!.. ასე არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჯობია? ისიც ეყოფათ, რაც წყრომა სხვა მასწავლებლებისგან და ზედამხედველისგან აქვსთ!

— მაინც! ჩვეულება თუ არა, რა მენაღვლება! ასეც უქნიათ, კისერიც უტეხიათ!—უგემურათ წაილაპარაკა კატომ. —მაგათი ყველაფერი მოწყენილი მაქვს, სწავლებაც, დარიგებაც, თამაშიც...

— ფულიც?—გაიცინა შავ-გვრემანმა ანეტამ და ხელში შეათამაშა თავისი ლამაზი ქისა, რომელშიაც ახლათ მიღებული ჯამაგირი, ორმოცდა ათი მანეთი, ეგულვებოდა.

— ფულის გულისთვის ვიკლავ მაგათი ჩიჩინით თავს, თუ არა!..—და ახალგაზდა ქალმა ღრმათ ამოიოხრა.

— ნუ თუ მართლა აგრე მოწყენილი გაქვს ჩვენი სკოლა?—გაკვირვებით შეეკითხა ანეტა.

— ყოველ დღე, ყოველ დღე გაკვეთილების ძლევა, დილას ადრე ადგომა, ოთხი-ხუთი საათი შეუჩერებლათ ჩიჩინი, მერე, ნასადილევს, კიდევ ხვალინდელი გაკვეთილებისთვის მომზადება, რვეულების გასწორება... და მთელი სიახალგაზდე, მთელი სიცოცხლის ამაში გატარება... ეჰ!—და კატომ ისევ ამოიოხრა.

ანეტა ერთ წამს დაფიქრდა. რატომ ის კი არ გრძნობდა კატოსავით უბედურათ თავს? მასწავლებლობა! ადამიანი ხომ უსაქმურათ ვერ იქნება, ხომ უსათუოთ უნდა იმუშაოს, აკეთოს რამე! და რითია მასწავლებლობა სხვა ხელობაზე უარესი?

ანეტა სულ პატარა იყო, როცა დედ-მამა მოუკვდა. ერთი ბიძა დარჩა, რომელმაც, როგორც კი რვა წლის გახდა, გიმნაზიაში, პანსიონში მიაბარა. მესამე კლასში რომ გადავიდა ანეტა, ბიძაც მოუკვდა. რადგანაც ძალიან კარგათ სწავლობდა, სახელმწიფო ხარჯით გაათავებინეს სწავლა. ოქროს მედალი მიიღო. როგორც კი გიმნაზიიდან გამოვიდა, უფროსმა ადგილი უშოვა. მას აქეთ თითონ ირჩენს თავს, დგომით ერთ კარგ ოჯახში, სახალხო სასწავლებლების დირექტორთან დგას, ჯამაგირი კარგათ ჰყოფნის...

ბავშობიდანვე ანეტა ბედნიერი და უზრუნველი, თავისი

ბედის სრული კმაყოფილი იყო. ბიძა თავზე ევლებოდა, ყოველ სურვილს უსრულებდა... სასწავლებელში ყველას უყვარდა, ყველა ანაზებდა... და ის რვა წელიწადი, რომელსაც სხვა პანსიონერები სიძულვილით და სიმწარით იგონებდენ, მისთვის ბედნიერ და მხიარულ წლებათ ითვლებოდა.

პირველი წელიწადია, რაც თავისუფალია... და იმავე ნათელი, მხიარული და უზრუნველი თვალებით შესცქერის ყველაფერს, რაც კი მის გარშემო ხდება, შესცქერის ბუნებას, ადამიანს, მთელ ცხოვრებას, როგორც სულ პატარობისას, როცა ბიძიას კალთაში უჯდა, როგორც მერე, მოზრდილობისას, პანსიონში, სადაც ამხანაგებსა და მასწავლებლებს შორის ბედნიერათ ცხოვრობდა. რა კარგია ცხოვრება! რა ბედნიერია ყოველი ადამიანი, რომელიც კი ცხოვრობს, არსებობს, სუნთქავს!

მშვენიერი დარი იდგა, არც წვიმდა, არც ქარი ჰქროდა, მხოლოთ ცოტა ჰყინავდა, სახლების სახურავები მთლათ გადათეთრებული იყო.

კატო და ანეტა ბულვარს გაუსწორდენ.

— შევიდეთ, დავისვენოთ!—მიუბრუნდა კატოს ანეტა.

— დაღალული ხარ?—უნებლიეთ გაეცინა კატოს.

— არა, მაგრამ... ისეთი კარგი დარია! იმდენი ხალხია ბულვარში! შეხედე, ნატო და ანიკო, თამაროც იქ არიან! შევიდეთ ცოტა ხნით, სულ ცოტა, სულ ერთი-ცუცქუნა ხნით! მერე ერთათ წავალთ სახლში...

ქალიშვილები შევიდენ ბულვარში და პირ-და-პირ იქით გაეშურენ, სადაც მათი ამხანაგები ისხდენ.

— მოგცესთ ჯამაგირი?—მხიარულათ შეეკითხა ანეტა მეგობრებს.

— აბა, არ მოგვცემდენ?—მხიარულათვე მიუგო ერთმა მათგანმა.—ზეგ შობაა. სწორეთ ძალიან დავუმადლებდით, რომ დღესაც არ მოეცათ! ისეც დაგვიგვიანეს!

— ჩვენც დღეს მივიღეთ!—შეათამაშა თავისი ქისა ანეტამ. ვერცხლის მანეთიანებმა შიგ რაჩხანი გაადინეს.

და ხუთივე ქალიშვილმა უზრუნველი ბელურებივით მხი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრული ჭიკჭიკი დაიწყეს. დაღვრემილი კატოც კი გამხიარულდა.

რაზე ლაპარაკობდენ, რაზე არ ლაპარაკობდენ, ვინ იცის! როგორ გაატარებდენ დღესასწაულებს, ვინ რას იყიდდა თავისი ფულით, ვინ რა საჩუქარს მოელოდა, ვინ სად აპირებდა წასვლას... წამ-და-უწუმ ხმა მაღალი, შეუკავებელი კისკისი სწყვეტდა მათ საუბარს, ისეთივე მხიარული, უზრუნველი კისკისი, როგორიც თვით საუბარი იყო, როგორიც თვით ქალიშვილები იყვენ ამ წამს...

ბულვარში მოსეირნეები უნებლიეთ თანაგრძნობით შესცქეროდენ ამ მოხმაურე ჯგუფს, ახლო მჯდომი ყმაწვილი კაცი, რომელიც აგერ მეოთხე პაპიროსს სწევდა, თავისი ადგილიდან ვერ დაძრულიყო და ახალგაზდა ქალიშვილებისათვის თვალი ვერ მოეშორებინა.

უეცრათ ერთმა პატარა, ჩამოგლეჯილ-ჩამოძონძილმა ბიჭმა ელვის სისწრაფით ჩამოურბინა წინ ქალიშვილებს, ისე ახლოს, რომ თამაროს და ანიკოს ხელიც კი ჰკრა, და თვალის დახამხამებაზე გაჰქრა მოსეირნეებს შორის, გაჰქრა მთლათ ბულვარიდან.

ქალებმა ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს, ვერ გაეგოთ, რა მოხდა, რა იყო ეს მოჩვენება. ანეტა გაფართოვებული თვალებით, დაბნეული, იყურებოდა იქით-აქეთ.

— ვინ იყო ეს ბიჭი, რა უნდოდა?—წამოიძახა ბოლოს კატომ.

— ანეტა, რა იყო, რა დაგემართა? — შეეკითხა ანეტას თამარო.

— ქისა! ჩემი ქისა!—წაილაპარაკა ანეტამ და გაფითრდა.

— რა იყო, რა?

— ქისა ხელიდან გამომტაცა... ჩემი ჯამაგირი...

ახლა კი მიხვდენ ქალიშვილები, რაშიაც იყო საქმე, მაგრამ რაღა დროს? პატარა ბიჭის ასავალ-დასავალიც კი აღარსად ჩანდა.

ყმაწვილი კაცი, რომელიც, ის იყო, მეხუთე პაპიროსს

შესდგომოდა, სწრაფათ წამოხტა და მიუახლოვდა წელან ისე მხიარულ, ახლა ასე შემკრთალ და გაბნეულ გროვას.

— თუ ნებას მომცემთ, ახლავე პოლიციას შევატყობინებ! — მიუბრუნდა ის ანეტას. — პატარა ბიჭს თვალი მოვკარი, რაღაც მეცნაურება. მგონი რეზო ბუჭიაშვილი უნდა იყოს, სამების ეკლესიის გადაღმა დგას მაგისი ბებია. იქით მხარეს ყველა იცნობს ამ ქვრივ ქალს, ყველას თავი მოწყენილი აქვს მისი მათხოვრობით. ჩვენსასაც იყო ორჯელ-სამჯელ. ერთხელ ეგ პატარა ბიჭიც მოიყვანა, იქნება სადმე სასწავლებელში მიაღებინოთო. მაშ შევატყობინო პოლიციას?

— არა, მადლობელი ვარ, მე თითონ შევატყობინებ, თქვენ ნუ შეწუხდებით! — მიუგო ანეტამ ყმაწვილ კაცს და წასვლა დააპირა. — კატო, მოდიხარ?

— მოვდივარ, რასაკვირველია. მეც წამოგყვები პოლიციაში.

ყმაწვილი კაცი უკმაყოფილოთ დაუბრუნდა თავის ადგილს და თავის პაპიროსებს.

— ჩვენც წამოვალთ, ჩვენც! — შემოეხვიენ ანეტას ანიკო, ნატო, თამარო.

— რას ლაპარაკობთ, ხომ გადავრევთ პოლიციელებს, ამდენი ადამიანი რომ ერთათ თავზე დავეხვიოთ! — ნაძალადევათ გაიღიმა ანეტამ. — მე და კატო წავალთ.

— აბა, მალე შეგვატყობინე, რა გითხრან!

— მაშინვე გვაცნობე, თუ დაიჭირონ ის საძაგელი ბიჭი!

— აქვე შევხვდეთ ერთმანეთს ხვალ ამ დროს!

ანეტამ ამხანაგებს თავი და ხელი დაუქნია და ჩქარი ნაბიჯით გაემართა ბულვარიდან გასავალ კარებისაკენ.

— საით მიდიხარ? პოლიცია ხომ მანდეთ არ არის! — გაკვირვებით შეეკითხა კატო ანეტას ერთ მოსახვევში.

— არ მინდა პოლიციაში წასვლა, მე თითონ ვიპოვი იმ ბიჭს, მე თითონ შევარცხვენ, თითონ დავაბრუნებინებ ფულს!

— გინდა, მეც წამოგყვე?

— არა, მადლობელი ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანეტა ძლივს ლაპარაკობდა, თვალებზე სულ ცრემლები ადგებოდა, ყელში რაღაც ებჯინებოდა.

რას ერჩოდა, რას, ის საძაგელი ბიჭი? რაღა ის ამოირჩია, რაღა მას მივარდა გასაცარცვავათ? მთელი ჯამაგირი წაართვა, მთელი ერთი თვის განმავლობაში უფულოთ, უგროშოთ დატოვა! მერე რა თვის განმავლობაში! შობა, ახალი წელიწადი, დღესასწაულები, თეატრები, საცეკვაო საღამოები, ყველაფერი ამ თვეშია! ისეთი პატარა—და ასეთი წამხდარი, გაფუჭებული ბიჭი! ანეტა კი იპოვის მას, კი შეარცხვენს, კი ამოიყრის მის ჯავრს!

— ნახვამდის, კატო!

— ნახვამდის, ანეტა!

* * *

მეორე დღეს ანეტა, აჩქარებული ნაბიჯით სამების ეკლესიის არე-მარეში დატრიალებდა. გუშინ ვერ მოასწრო წამოსვლა, სადილი ნამეტანი გვიან სჭამეს, მერე უცებ დაღამდა, ფაიტონის ფული არ ჰქონდა, ფეხით—ბნელაში ვერ გაბედა...

თავისი დიასახლისისათვის ჯერ არაფერი უთქვამს. თუ ვერ იპოვა ქურდი ბიჭი და პოლიციაში წასვლა დასჭირდა—მაშინ ეტყვის და კიდეც დაიხმარებს მას.

„ღმერთო, რა ქუჩებია! რა ვიწრო, ტალახიანი... ნეტავი საით უნდა იყოს ბუჭიაშვილის სახლი“?

— ბუჭიაშვილის ქვრივი საით დგას? შეეკითხა ანეტა ორ ქალს, რომლებიც ერთ ჭიშკართან იდგენ.

— აი, იქით გადაუხვიეთ, იმ ქუჩაში.

— ის ქუჩაა?—გაკვირვებით წამოიძახა ანეტამ, როდესაც დაინახა, რომ ქალები ორ სახლს შუა ერთ ვიწრო და გრძელ ტბას უთითებდენ.

— დიახ, ქუჩაა. მარჯვნით მესამე ჭიშკარში იკითხეთ.

ანეტამ მამაცათ შესცურა ტბაში და მთლათ ამოსვრილი მიადგა ნაჩვენებ ჭიშკარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბუჭიაშვილის ქვრივი სადა დგას?—ჰკითხა მან რამდენიმე ბავშს, რომლებიც ტალახიან, აყროლებულ ეზოში მაშობდენ.

— აი, იქითკენ შეუხვიეთ, იმ სახლს უკან. მარჯვნით პირველი კარია.

ანეტამ მიუხვია, მოუხვია, სადღაც ბნელეთში შევიდა, ხელების ფათურით რაღაც კარი იპოვა... დაარახუნა—არავინ უპასუხა; შეაღო კარი და ერთი პატარა ფანჯრით ოდნავ განათებული ოთახი დაინახა.

— არავინ არის აქ?—შემკრთალი ხმით იკითხა მან.

— კი. მე ვარ.—უპასუხა ერთი კუთხიდან ბავშის წკრიალა, ნაზმა ხმამ.

ანეტა ერთხანს კარებში დარჩა, იცდიდა, სიბნელისათვის თვალები მიეჩვია. აი, ცოტ-ცოტათი უკეთ გაარჩია მთელი ოთახი, ნოტიო, ჩაშავებული კედლები, ძველი ხის სტოლი, რაღაც ძონძები კუთხეში, უთუოთ ლოგინია...

— ვინ არის აქ?—გაიმეორა ანეტამ.

— მე ვარ!—და ერთი ბნელი კუთხიდან ერთი ნამცეცა არსება გამოძვრა.—ბებია სახლში არ არის, არც რეზო.

— სად არიან?

— სხვაგან.

ანეტა სულ უკეთ და უკეთ არჩევდა ყველაფერს. ახლა ბავშსაც კარგათ ხედავდა. ეს საშინელი გამხდარი და ფერმიხდილი, ოთხი-ხუთი წლის პატარა არსება იყო; ადამიანს ეგონებოდა, წმინდა სანთლიდან არის ჩამოსხმული მისი პაწაწინა სახე, მისი პაწაწინა ხელები, მისი პაწაწინა ფეხებიო; მკრთალი, უფერული ტუჩები ჰქონდა, მოყვითალო, უფერული თმა; და მხოლოდ თვალები ჰქონდა დიდი და ცოცხალი, ბრიალა, შავი თვალები, რომლებიც მთელ მის სახეს, მთელ მის არსებობას ანათებდენ, ასხივოსნებდენ...

— რას აკეთებ აქ?

— არაფერს.

— არ გეშინია ამ ბნელაში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ყოველთვას აქა ვარ!—მშვიდათ და წყნარათ უპასუხა პატარამ და თვალები ცოტა გაკვირვებით შეანათა.

— ბებია და რეზო სად არიან ხოლმე?

— სხვაგან. საღამოს მოდიან.

— რას მოგიტანებენ?

— ბებია პურს მოიტანს ხოლმე.

— მთელი დღე არა სჭამ, თუ?

— კი. როცა პური რჩება—ვჭამ.

— და როცა არ რჩება, მაშინ რას შვრები?

— ბებიას და რეზოს ვუცდი.—ისევე მშვიდათ, წყნარათ უპასუხა პატარა ბავშმა.

— რატომ შენც თან არ მიჰყავხართ ხოლმე?

— მე ბევრი სიარული არ შემიძლია. ჩემი აყვანა კი ბებიას ჰღალავს. ახლა დიდი ვარ, მძიმე.

ბავშმა ისევ მიანათა ანეტას თავისი დიდი, სხივოსანი თვალები. ელოდა, კიდევ რამეს მკითხავსო.

ანეტამ არ იცოდა, რა ემართებოდა. მას დავიწყებოდა თავისი ჯამაგირი, დავიწყებოდა, რისთვის მოსულიყო. ის გაშტერებით შეჩერებოდა ამ პატარა, თითქოს წმინდა სანთლიდან ჩამოსხმულ არსებას, რომლის სახეზედაც ასეთი სიმშვიდე, სიწყნარე, ბედის მორჩილება იხატებოდა,—და ყოველი მისი სიტყვა, ყოველი პასუხი უზომო სიბრალულს უძრავდა გულში.

— აბა მთელი დღეობით სულ აქა ხარ?

— ჰო, სულ აქა ვარ.

— გარეთ არ გადიხარ ხოლმე, ეზოში, ბავშებთან სათამაშოთ?

— არა. ბავშები მირტყამენ. მათხოვარს მეძახიან.

— მერე არ მოგწყინდება ხოლმე აქ, სულ მარტო ყოფნა?

— უწინ კი. ძალიან. ახლა კი...

— ახლა?

— ახლა მარტო აღარა ვარ.—მიუგო ბავშმა და მის თვალებში სიხარულმა იელვა, სიხარულმა, ბედნიერებამ, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც რალაც საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა ამ დამდნარ, დალეულ სახეზე.

— ვინ არის შენთან?

— ნინო.

— ვინ ნინო? სად არის?

— აი, აგერ.—ბავში ისევ იმ კუთხეში მიიმალა, საიდანაც წელან გამოძვრა და ცოტა ხანს იქით ისევ შუა ოთახში გამოვიდა; ხელში დიდი უშველებელი დედოფალა ეჭირა, რომელსაც გაშეშებულ, სულელურ სახეს ორი წითელი ლოყა და ორი რგვალი თვალი უმშვენებდა. ნინოს ხასხასი ვარდისფერი ჩითის კაბა ეცვა, შავათ შეღებილ თავზე ვარდის ფერი ლენტი ჰქონდა წაკრული.

ბავშმა ალტაცებით ჩაიკრა გულში ეს უშნო, სასაცილო დედოფალა, სიყვარულით აკოცა მას და მერე ამაყათ, თავ-მომწონეთ შეხედა ანეტას. აი, ვინ იყო ნინო! აი, რატომ ალარ იყო ის ახლა მარტო! აბა ახლა, ამისთანა ამხანაგთან ერთათ რა ნაირათ, როგორ-ღა მოწყინდებოდა!

ანეტამ იგრძნო, რომ თვალებზე ცრემლები მოადგა. იქვე დაბალ ხის სკამზე ჩამოჯდა და ერთხანს აღელვებით, ხმა ამოუღებლათ მიჩერებოდა პატარა ბავშს და დიდ დედოფალას.

— ვინ გაჩუქა ნინო?—ბოლოს ჰკითხა მან.

— რეზომ.

ანეტა შეკრთა.

— როდის?

— დღეს დილას.—ბავში გამოცოცხლდა. წელან ათასი კითხვა იყო საჭირო, რომ იმას ცოტ-ცოტათი რამე ეამბნა, ახლა კი, როცა იმის ნინოზე მიდგა საქმე, თითონ ატიტინდა, აჟღურტუნდა.—ნინო უწინ იქ იყო, ლევანას დუქანში. ფანჯარაში იდგა და სულ ქუჩაში იყურებოდა. როცა ბებია წამიყვანდა ხოლმე, სულ იქ მივდიოდით, ნინოს სანახავათ. რეზომ მითხრა, ნინოს აქ მოგიყვანო, შენი იქნებაო. მაგრამ არ მოჰყავდა და არა. როდის მოვათქო, ვკითხავდი. მეუბნებოდა, ჯერ მოიცადეო. ვიცდიდი და ვიცდიდი. არ მოჰყავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და და არა. ბებიამ მითხრა, ნულარ ჰკითხავ რეზოსო, ნინომ ხედავ, სწუხსო. აღარ ვკითხავდი. ვიცდიდი და ვიცდიდი. მერე, როცა ბებია სახლში არ იყო, ვკითხე, საშობოთ მოვა ნინოთქო? რეზომ იტირა. მერე მითხრა, უსათუოთ მოვაო. მერე აღარ მიკითხავს. მეშინოდა, კიდევ არ ეტირა. გუშინ თითონ მითხრა, ხვალ მოვაო. და დღეს, რომ გამოვიღვიძე, ნინო აქ იყო.

ანეტა გულის ძგერით უსმენდა ბავშს. ხმას აღარ იღებდა. ბავში კი აღარ ჩერდებოდა, ახლა ლოყები აწითლებოდა, თვალები ვარსკვლავებივით უბრწყინავდა, და სულ ტიტინებდა, სულ ჟღურტუნებდა...

— ნინო აქ იყო. იჯდა იქანა და იყო. მე მიყურებდა. მიცდიდა. რეზოს კი არ უხაროდა, იჯდა კუთხეში გაბუტული. მე ვუთხარი, ნინო შენიც იყოს, მარტო ჩემი კი არათქო. გაიქცა სხვაგან. მერე აღარ მოსულა. ნინო ახლა სულ აქ იქნება. ჩემთან. ბავშმა ისევ გულში ჩაიკრა, ისევ დაჰკოცნა თავისი ახალი მეგობარი.

ანეტამ აღარ იცოდა, რა ექნა. უნდოდა სახლში წასულიყო, თან ვერ მოშორებოდა ამ ბნელ, ნოტიო ოთახს, ამ დაბალ სკამს, ამ ერთ ნამცეცა ბავშს, ამ უშნო დედოფალას...

— ბებია მოდის!—უცებ წამოიძახა ბავშმა.

მართლაც, ფეხის ხმა მოისმა. კარებში მოხუცი დედაკაცი გამოჩნდა. ის შეჩერდა და გაკვირვებით შეხედა ახალგაზდა ქალიშვილს.

— უკაცრავათ!—წამოხტა ანეტა და, თითონაც ვერ გაეგო, როგორ და რატომ, თავის თავისთვისაც მოულოდნელათ, უცებ ამ სიტყვებით მიჰმართა მოხუც ქალს:—მე მითხრეს, რომ თქვენი შვილი-შვილის, რეზოს, სასწავლებელში მიცემა გინდათ. მაგრამ შეძლება არა გაქვსთ. აი, მოვედი გასაგებათ, რამდენი წლისაა, როგორი ბავშია... იქნება რამე მოვუხერხო.

— შენი ჭირიმე, ბატონო, შენ მუხლებს დავენაცვლე... თუ მაგას მოგვიხერხებთ, თუ მაგისთანა წყალობას მოიღებთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ღმერთი, ჩვენი იესო ქრისტე, ჩვენი მხსნელი თქვენ იჭ-
ნებით... ბიჭი ათი წლისაა... ისეთი მონდომებულია სწავ-
ლას, რომ მეტი არ იქნება... ჯავრით სულ დალეულია..
დავუძახებდი, რომ გენახათ, მაგრამ ახლა არ იზამს, არ მო-
ვა. რაღაც მოუვიდა, წუხანდელს აქეთ სულ გადაირია... არ
ვიცი, რა დაემართა, არაფერს ამბობს... მთელი ღამე არ და-
ძინებია, სულ შამფურივით ტრიალებდა... დღეს დილას გა-
ვარდა კარში და აღარ მოგვეკარა არავის... სახლს უკან ზის,
მგლოვიარეთ, ღობის ძირში და ხმას არავის სცემს... შენი
ჭირიმე, ბატონო, თუ მაგ საქმეს გვიზამ, თუ რეზოს რამეს
მოუხერხებ... ხვალინდელი წირვის მადლი შეგეწევა და გაგა-
ბედნიერებს...

ახლა ანეტას რაც შეიძლება მალე უნდოდა ამ შეხუთუ-
ლი ოთახიდან წმინდა ჰაერში გასვლა, უნდოდა თავისუფლათ
ამოესუნთქა, გამორკვეულიყო იმ ბურანიდან, რომელიც თან-
და-თან უფრო ეხვეოდა გარს...

— მალე ისევ გნახავთ და ყველაფერს შეგატყობინებთ!
— უთხრა მან მოხუც ქალს, მერე პატარას მიუახლოვდა, პა-
ტარას, რომელსაც, ამასობაში, ძირს მოეკეცა, ნინო კალთა-
ში ჩაეწვინა, არწევდა მას და წკრიალა, ნაზი ხმით იავნანას
უმღეროდა.

— ნახვამდის, ჩემო პატარა! — უთხრა მას ანეტამ, დაი-
ღუნა, თავზე ხელი გადაუსვა და შუბლზე აკოცა. ბავშვმა თა-
ვისი ბრიალა თვალები მიაშუქა და ნინო გაუწოდა. ანეტამ
ნინოსაც აკოცა, კარებისაკენ წავიდა, მერე, თითქო რაღაც
გაახსენდაო, უცებ მობრუნდა და მოხუც ქალს მიჰმართა, რა
ლამაზი დედოფალა ჰყავს თქვენ შვილი-შვილსო.

— გუშინ რეზოს ეყიდნა! — მიუგო თვალებზე ცრემლებ-
მორეულმა ქალმა. — ვიღაც დალოცვილს ვერცხლის მანეთია-
ნი ეჩუქებინა მისთვის. არც საჭმელი გახსენებოდა, არც სას-
მელი, პირდაპირ გაქცეულიყო და ეგ ეყიდნა. მე მხოლოთ ამ
დილას გავიგე. ჯერ გული დამწყდა, ვიფიქრე, იმ ფულით
რამდენ რამეს, უფრო სასარგებლოს, ვუყიდიდი ამ საწყლებს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქო, მაგრამ ამ საკოდავის სიხარული რომ დავიბადე, ... ზოსთვის აღარც არაფერი მითქვამს...

რამდენსამე ხანს შემდეგ ანეტა დაფიქრებით, ნელი ნაბიჯით მიდიოდა თავის სახლისაკენ. ეს ისევ ის ქალიშვილი იყო, რომელიც წელან აჩქარებული ნაბიჯით სამების ეკლესიისაკენ მოეშურებოდა, მაგრამ როგორი შეცვლილი, სხვანაირი სახე ჰქონდა ახლა! მისი დიდი, ნათელი თვალები, რომლებიც წელან ჩვეულებრივი უზრუნველობით, ბავშური მხიარულებით გამოიყურებოდენ—ახლა თითქოს ჩაბნელებულიყვენ, თითქოს უცებ მთლათ ერთიანათ გამოცვლილიყვენ...

რამდენი უბედურება, რა სიღარიბე, რა სისაწყლე ყოფილა მის გარშემო, მის ახლოს!.. ის კი ამაზე არაოდეს არ დაფიქრებულა, ეს არაოდეს თითქმის არც კი შეუნიშნავს!

ორი კვირის შემდეგ რეზო სხვა პატარა ბავშებთან ერთათ იმ სკოლაში დადიოდა, სადაც ანეტა ასწავლიდა. თავისი სახლის პატრონის დახმარებით ახალგაზდა ქალს ამის მოხერხება დიდათ არ გაჭირვებია.

—

ერთ დილას ანეტამ სამასწავლებლო მაგიდის უჯრაში თავისი კარგა ხნის დაკარგული ლამაზი ქისა იპოვა. შიგ ორმოც-და-ცხრა მანეთი იდვა.

ელ. წერეთელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაცრუებული იმედები.

(რუსულიდამ).

ერთ მშვენიერ ზაფხულის დილას გაღებული ფანჯრიდამ შეფრინდა ახალგაზდა ქალის ოთახში ფუტკარი. იწყო მან ფრენა და ხმა-მაღლა ბზუილი. ფუტკარმა ოთახში რაღაც დაინახა და თვალს არ უჯერებდა. ბევრჯელ უნახავს მას ყვავილები, უწუწვნია მათი ტკბილი წვენი მინდორში, ტყეში, ბაღებში, მაგრამ ამდენ ყვავილებს ერთად, რამდენიც მოგროვილა ამ ქალის ოთახში, არ შეხვედრია. კედლები, ფარდები, ხის ავეჯი, ტანისამოსი, ერთი სიტყვით ყველაფერი ყვავილებში იყო ჩაფლული. თითქოს ქალის ხელებში, რომელშიაც საკერავი ეჭირა და გაჩქარებით ჰკერავდა, ვარდი იშლებოდა. ფუტკარი, ამდენი ყვავილების მნახველი მთლად დაიბნა, აღარ იცოდა, რომელი აერჩია საწუწვნათ, ხან ერთს დააფრინდებოდა, ხან მეორეს, იასამანიდან მიხაკზე გადადიოდა, იქიდამ სხვაზე. იგი ოცნებობდა იმაზე, თუ რამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენ ტკბილ წვენს წაიღებდა თავის სკაში.

მაგრამ მწარედ მოტყუვდა. ფუტკარმა ნახა, რომ არ ერთ ამ ლამაზ ყვავილს არ ჰქონდა ის სურნელება, რომელიც საჭირო იყო მისთვის. ტყუილად ეწაფებოდა თვითეულ ფოთოლს,—იმის ისარს არაფერი ამოჰქონდა. მოაგონდა მაშინ მას ისევ თავისი ტყე და მწვანე ველ-მინდორი. ახლა მეტი აღარაფერი უნდოდა,—მალე დაბრუნებულიყო იქვეეცა ფანჯარას გასასვლელათ, მარა დაკეტილი დაუხვდა. მწარედ დაღონებული, ფრთებ დაშვებული დაჯდა ასკილის ყვავილზე და ისე მოკვდა ზედ, რომ ერთი წვეთი ტკბილი წვენი არ იგემა.

* * *

შუადღისას, ღია ფანჯრიდამ შეფრინდა ბულბული ოთახში, საიდანაც მოისმოდა სიმღერა ახალგაზდა ქალისა. ფრინველი, გატაცებული ამ გალობით, მხიარულათ დანავარდობდა. ბევრ-გვარი გალობა გაეგონა ბულბულს სამშობლო ადგილებში, ბევრი სხვადასხვა ფრინველების სტვენა-ჭიკჭიკი, მაგრამ ამისთანა კი არასოდეს.

ქალმა ხელ-ახლა დაჰკრა ხელი როიალს და განაგრძო სიმღერა.

ბულბული გაოცებული იყო; მას ართობდა და იზიდავდა ეს ახალი, უცნობი ხმები. სულ-განაბული მიჰკროდა ოთახის ჭერს, თითქოს სამუდამოთ აქ აპირებდა დარჩენას. ასე იყო კარგა ხანს, შემდეგ უცებ დაეშვა დაბლა და ბუდის შგზავსს რაღაცაში ჩავარდა და იქ ლამაზათ მოიკალათა. ის არ დაკმაყოფილდა მხოლოდ მოსმენით,—მოინდომა გაგონილის გამეორება და დაიწყო კიდეც, მაგრამ მალე მოსწყინდა, დაფიქრდა და დარწმუნდა, რომ ამ ხმებსა და მის სევდიან გალობას შორის დიდი განსხვავება არის. დააპირა ერთხელ კიდევ გამეორება ახლად ნასწავლი სიმღერისა, მაგრამ ველარ მოიგონა, დაავიწყდა კიდეც, მერე მოაყოლა მან ისევ თავისებური სტვენა-გალობა, რამაც ჩვეულებისამებრ გაიტაცა და აღაფრთოვანა. ბოლოს დაღონდა და მოაგონდა თავისი ბინა საიდუმლოებით მოცული ხშირი ტყე, ბუჩქნარ-ბაღები, სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუწყვეტლივ ისმის ბულბულთა გუნდის ტკბილი, საამური ხმები.

გაშალა ფრთები და მოინდომა გაფრენა, მაგრამ ნახა, რომ თურმე ჩამწყვდეულია გალიაში, რომლის კარები ის იყო მაგრად მიაჯახუნეს. მწარედ დაღონდა, იგრძნო რომ საშველი აღარსაით აქვს, მიიკუნჭა საცოდავი გალიის ერთ კუნჭულში და ისე მოკვდა, რომ სრულებით ხმა აღარ დაუძრავს მიუხედავათ იმისა, რომ ოთახში ისევე გაისმოდა ქალის მხიარული სიმღერა.

ქეთო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიიდან.

(რუსულიდან *).

შესავალი.

ნელია ადამიანისათვის ამ ქვეყნად ბედნიერების მოპოება. უხსოვარის დროიდან, დედამიწაზედ ფეხის პირველი შემოდგმისათანავე, დაიწყო ადამიანმა მისი ძებნა, მაგრამ სრული ბედნიერება დღემდისაც ვერ მოუპოებია. ამ გზაზე მას იმთავითვე წინ მძლავრი ბუნება გადაეღობა, რომელიც ადამიანის სამტრო ძალებით აღვსილია. და მხოლოდ მძიმე მრავალსაუკუნოებით შრომით შესძლო ადამიანმა ბუნების ველურ სამფლობელოში ყველაფერი თავის გემოვნებაზე გარდაექმნა და ქვებიც, მცენარეებიცა და ცხოველებიც თავის მოთხოვნილებათა შესაფერათ გამოეყენებია. სადაც ადამიანმა ბუნების ამგვარათ დამუშავება, მისი ამგვარი კულტურა მოახერხა,—იქ მან თავისი ბედნიერების პირველი გარეგანი პირობებიც შეჰქმნა.

---

*) დედანთან შედარებით ჩვეხი თარგმანი ზოგან შემოკლებულია ზოგანაც შევსებული საქართველოს ისტორიიდან (შეადარეთ ჟურნალი „Юная Россія“ 1907 წ. იანვრისა და შემდეგი თვეების). ს. გ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს მხოლოდ საუცხოო ციხე-ბურჯი იყო ბედნიერებისა და არა თვითონ ბედნიერება. უკანასკნელის მისაღწევათ ადამიანებს სხვა დიადი კულტურული მუშაობაც მოეთხოვებოდათ: მათთვის საჭირო იყო, თავისი თავის შემუშავებაზედაც შრომა გაეწიათ, თავიანთ საურთიერთო დამოკიდებულებათა გაუმჯობესებასა და თვის შორის სამართლიანი პრინციპების დამყარებაზედაც ეზრუნათ.

ადამიანებისთვის კულტურული მუშაობის ეს ნაწილი უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვინემ თავიანთ საჭიროებათა და მოთხოვნილების თანახმათ გარეშე ბუნების გამოყენება. ჩვენს დროშიაც კი, როცა კულტურული ქვეყნების მცხოვრები თავის თავს „ბუნების მპყრობელს“ უსაფუძვლოთ არ ეძახის, ადამიანები ჯერ კიდევ გამოუთქმელ ტანჯვა-წვალებას განიცდიან.

მაგრამ ეს მუდამ ასე არ იქნება. ის დრო უკვე წასულია, როცა ადამიანები მხოლოთ მწვავეთ გრძნობდენ ყოველგვარს უწეს-რიგობას თავის ცხოვრებაში, იტანჯებოდენ და არ იცოდენ კი, საქმისთვის რით ეშველათ. ეხლა მდაბიო წრის კაცმაც კი შეიგნო, თუ ცხოვრებაში რისაგან რა წარმოდგება და რა გზით შეიძლება ახალს, უკეთეს გეგმაზე მისი გადაკეთება. ხოლო, ვისაც თვალი აეხილა, ის შინ კერას როდიღა უზის: ცდილობს თავისი ქვეყნის საზოგადოებრივს ცხოვრებაში, რამდენათაც შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს, რომ, თავის ამხანაგებთან ერთათ, მოსპოს ყველაფერი, რაც ადამიანთა ტანჯვის მიზეზს შეადგენს და ახალი, უკეთესი ცხოვრება შეჰქმნას.

ამ მძიმე საკითხის გადაწყვეტა მარტო ერთს თაობას არ შეუძლია; აქ სამუშაო იმათთვისაც საკმაოთ დარჩება, ვინც დღეს ახალგაზდები არიან, და მოზარდი თაობა ვალდებულია, ამ დიადი მუშაობისთვის მოემზადოს.

ხოლო საამისოთ მომზადება ნიშნავს, — შეისწავლონ და შეიგნონ ის ცხოვრება, რომელსაც გადაკეთებას უპირობენ, გაითვალწინონ, თუ: როგორ მიიღო ამ ცხოვრებამ ის სახე და წყობილება, რომელიც დღეს აქვს, როგორი ძალები ამოძრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებენ მას და სცვლიან. ვინც იმ გზას შეიგნებს, რომელიც წარსულ'ში კაცობრიობის ცხოვრებას უვლია,—იგი უკეთესი მომავლის ნამდვილ გზებსაც გამოსძებნის. ამიტომ, ვისაც სურს სამშობლოს მომავალში სარგებლობა მოუტანოს, ყველაზე უწინ ვალდებულია გაკვეთილისათვის ისტორიას მიმართოს. მხოლოთ მაშინ, როცა იგი ამგვარათ განსწავლული ჩაერევა ცხოვრებაში, მტკიცეთ ეცოდინება, თუ საითკენ უნდა წავიდეს, რას მიესწრაფებოდეს და სად სცადოს ჭაბუკნი ძალნი. მშვენიერათ ამბობს რუსის მეცნიერი კლიუჩევსკი: „თვითეული ჩვენგანი მოვალეა მცირეოდნათ მაინც ისტორიკოსი იყოს, რომ შეგნებულათა და სინდისიერათ მოქმედი მოქალაქე გახდესო".

შემდეგის ჩვენი წერილების მიზანიც სწორეთ ის არის, რომ მკითხველები შეაგულიანოს, ჯერ „მცირეოდნათ მაინც ისტორიკოსები" გახდენ, სანამ „მოქმედი მოქალაქეები" შეიქნებოდენ.

პირველი წერილი. მშრომელი სალსის ისტორია.

I. ადამიანთა ზოგადი ცხოვრების ალიონზე.

არც ერთს ქმნილებას ამ ქვეყნად ცხოვრება მუქთათ არ ეძლევა. ყველა ქმნილება ჩვენს გარშემო შრომობს, როგორც შეუძლია, ყველა თავისი ნიჭი და ძალა, რომელიც ბუნებისგან მიულია, მოქმედებაში მოჰყავს და საზრდოს ძებნაში ერთმანეთს ეომება.

ადამიანმაც ამ ბრძოლაში თავისი გაჩენის პირველი დღიდანვე მიიღო მონაწილეობა. მხოლოთ ბრძოლითა და შრომით შეეძლო მას დღიური საკვები მოეპოებია, მტაცებელთაგან თავი დაეფარა და სიცხეს, ქარს, წვიმასა და ყინვას გამკლავებოდა.

მაგრამ სათვითაოთ, ცალ-ცალკე, პირველ-ყოფილ ადამიანს არ შეეძლო ეს მძიმე საქმე შეესრულებია. ამიტომ ყოველგვარ საშიშრობისა და უბედურობის მოლოდინში იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მსგავს არსებებს მჭიდროთ უერთდებოდა და მათთან ერთს კავშირს ადგენდა. თვითონ სასტიკმა და ადამიანთა გაჭირვებისადმი უგრძნობელმა ბუნებამ შეაერთა იგინი პირველ საზოგადოებრივ კავშირად.

ბევრი წევრი არა ჰყავდა ადამიანების ამ პირველ კავშირს,—მაგრამ სამაგიეროთ მასში არც არავითარი მტრობა და უთანხმოება არსებობდა. იქ ყოველი მოკავშირე სხვების თანასწორი იყო, შრომასა და მის ნაყოფსაც ერთმანეთში ყველანი თანასწორათ იყოფდენ.

ველური ქვეყნების პირველყოფილ მცხოვრებლებში ადამიანთა ზოგად-ცხოვრების ამგვარი პირვანდელი ფორმა დღესაც ძლიერია. რიცხვ-მცირე მკვიდრნი იქ ერთმანეთს მჭიდროთ და მეგობრულათ შეკავშირებიან და ერთი ჩამომავლობის პირთაგან სანათესაო კავშირები შეუდგენიათ. სანათესაო კავშირი იფარავს თვითეულ ველურს ყოველგვარი უბედურობისაგან, კავშირივე შველის მას ყოველგვარ გასაჭირში. ველური იც გრძნობს, რომ მუდამ გვარის დახმარება სჭირია,—ამიტომ, როგორც დამფრთხალი ყმაწვილი თავის დედას, იგიც მთლათ ზედ ეკვრის თავის გვარს და ყოველ თავის ნიჭს, ძალასა და მისწრაფებას მას ახმარებს. იგი არასოდეს თავის სარგებლობას საზოგადო სარგებლობისაგან არ აცალკევებს,—მას ჯერ კიდევ წარმოდგენაც არ დაბადებია თავის პირად სარგებლობაზე, რომლის გულისთვისაც შესაძლო იყოს, კაცმა გვარის საჭიროებანი დავიწყოს.

„იმათ ყველაფერი ჩვენებურათ, ყველაფერი არტელით ქვთო,“ ამბობდა ერთი რუსის გლეხი, როცა ციმბირის პირველ-ყოფილი მოყიალე ხალხის ბანაკიდან დაბრუნდა.

ყველა ველური გვარის წევრებზედაც ესევე შეიძლება იქვას. ყოველს მოზრდილს ქონებას იგინი განუყოფლათ ჰფლობენ, ყოველ მოზრდილა სამუშაოს ერთათ იწყებენ და მისი ყოელი ნაყოფითაც საერთოთ სარგებლობენ. მიწა-წყალი და ტყემინდორი, რომელსაც გვარი მტრებისაგან იფარავს, ყველა მისი წევრის საერთო საკუთრებას შეადგენს; და ყველას თა-

ველურების საერთო მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასწორი უფლება აქვს იმ სიმდიდრეზე, რომლითაც ბუნებას მათი მხარე დაუჯილდოებია.

„ყოველი ნადირი, რომელიც ჩვენს მიწაზე დარბის, ყოველი ფესვი, რომელიც ჩვენს ნიადაგში იზრდება, საერთო საკუთრებას შეადგენსო“,—ამბობდა ავსტრალიელების ერთი გვარის უფროსი. შავკანიანის აზრით ერთ პირს მხოლოთ იარაღი, ტანისამოსი და ის სახელი შეიძლება ეკუთვნოდეს, რომელსაც იგი ატარებს. მისთვის ყოვლად გაუგებარია, თუ ერთ კაცს რატომ უნდა ჰქონდეს თავის მხარეში მეტი უფლება ნადირსა, ბალახსა და ფესვებზე, ვინემ მეორეს“.

ამიტომაც, როცა ავსტრალიელი სადმე ნადირს მოჰკლავს, ისე უცქერის მას, როგორც მოგვარეების საკუთრებას; ნანადირევს სადმე უშიშარ ადგილას ჰმალავს და თვითონ კი ბანაკში მიესწრაფება, რომ ამხანაგებს შეატყობინოს და მათთან ერთათ ლხინი გადაიხადოს. სამაგიეროთ, როცა თვითონ შინ ხელცარიელი დაბრუნდება, არასოდეს მშიერს არ დასტოვებენ.

სხვა ქვეყნების ველურ გვარებშიაც ამისთანა წესები არსებობს. გვარი იქაც მიწისა და მისი სიმდიდრის მესაკუთრედ და ყოვლისავე იმის სრულუფლებიან გამგედ ითვლება, რაზედაც ადამიანის არსებობა დამოკიდებულია. იგი ანიჭებს თავის ყოველ წევრს არსებობის საშუალებას. მაგრამ სწორეთ ამითი თვითეულ წევრს ვალად უდგენს—საგვარო მეურნეობაში თავისი წილი შრომაც შეიტანოს. ამიტომაცაა, რომ ქონების განუყოფლობასთან ერთათ ველურ გვარებში ჩვენ მონადირეები, მეთევზეები, მეჯოგენი, მიწის მუშები და ისეთი საქმეშაოებიც გვხვდებიან, რომლებშიაც მონაწილეობის მიღება გვარის ყველა წევრებისთვის სავალდებულოა. ხოლო რასაც ამგვარი შრომით იშოვნიან,—ყველანი სარგებლობენ.

აი რას მოგვითხრობს, მაგალითათ, ერთი მოგზაური ინდოელ კრიკების მიწის-მუშა ხალხზე:

„სახნავი მიწა, რომელიც საზოგადო საკუთრებას შეადგენს, ნაჭერ-ნაჭრებად დაყოფილია იმის მიხედვით, თუ გვარში რამდენი ოჯახია. დანიშნულ დღეს, საყვირის ხმაზე, ყველა მცხოვრებლები სამუშაოდ გამოდიან; ყოველი ოჯახი ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წის რომელსამე ნაჭერს ირჩევს და ხვნა-თესვას ყველანი ერთ-
რათ შეუდგებიან. მოსავლის შეკრება და შენახვაც შეერთე-
ბული ძალით სწარმოებს. მის განსაზღვრულ ნაწილს სათადა-
რიგოდ საზოგადო ბელლებში ინახავენ, დანარჩენს კი ყველა
ოჯახები იყოფენო“.

სხვა გვარებშიაც ამგვარივე საერთო შრომით აკეთებენ
თევზის საჭერ მოწყობილობას, ნავებსა და შენობებს. ყოვე-
ლსავე ამას გვარი ისე უფრთხილდება, როგორც საზოგადო
საკუთრებას, და ყველას თანასწორ უფლებას აძლევს, ამ ქო-
ნებით ისარგებლოს. თვითეულ პირს მარტო იარაღი, სამკაუ-
ლები და სხვა და სხვა გვარი საოჯახო მორთულობა ეკუ-
თვნის. მაგრამ ეს ხომ სულ ისეთი საგნებია, რომელთა გაკე-
თება და შოვნა თვითეულ პირს შეუძლია ისე, რომ სხვას ზი-
ანი არ მიაყენოს.

ასე ცხოვრობს პირველ-ყოფილი გვარი: მდიდარსა და ღა-
რიბს, მაძღარს მშიერთან ერთათ იქ ადგილი არა აქვს.

„ველურების გვარში სიმდიდრე ისე ტრიალებს, როგორც
სისხლი ადამიანის სხეულშიო“—შენიშნავს ერთი მოგზაური.
„იმ ნივთიერ სიმდიდრით, რომელიც გვარის ხვედრს შეადგენს,
ყველა ზევრები თანასწორათ სარგებლობენო“.

სწორეთ ამგვარ სანათესაო კავშირებში დაიწყეს თავისი
სამეურნო მუშაობა თანამედროვე ევროპელებისა და ქართვე-
ლების წინაპრებმაც. უძველეს რუსულ მატიანეში რამოდენიმე
ბუნდოვანი ცნობაა დაცული უწინდელ წეს-წყობილებაზედ:
მაგალითად, პოლიანებზე, რომელნიც დნეპრის პირად ბინა-
დრობდენ, მემატიანე ამბობს, რომ „იქ ყველა თავ-თავის გვა-
რთან ცხოვრობდა, თავის მიწაზეო“. ამისთანავე საგვა-
როვნო კავშირები („родовая община“) დახვდათ რო-
მაელებს, როცა იგინი ველურ გერმანელებს პირველათ
გაეცვნენ. მაგალითათ, რომის მხედართ-მთავარი ცეზარი
(I საუკ. ქრ. წინ) მის მიერ დაპყრობილ სვევებზე მოგვით-
ხრობს, რომ მათში თვითეული გვარი, რომელიც რამოდენი-
სამე სანათესაო ოჯახისგან შესდგება, მინდვრებს საერთოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმუშავებს და მოსავალსაც ყველა ოჯახები თანასწორად იყოფენო.

იმავე საუკუნეში, ბერძენ გეოგრაფის სტრაბონის (66 წ. წინ და 24 წ. ქრ. შემდეგ) მოწმობით, საქართველოშიაც ამგვარი წყობილება ყოფილა: ივერიელებსაო,—ამბობს სტრაბონი,—„ქონება თვითეულ გვარში საზოგადო აქვთო; და ამ ქონების გამგე და განმაკარგულებელი უხუცესი წევრიაო“. ამ უხუცესს წევრს ქართული წყაროები გვარის-მამას ანუ „მამა-სახლისს“ უწოდებენ, რადგან იმ დროს სიტყვა „სახლი“ მთელ „გვარს“ აღნიშნავდა.

ძველი გვაროვნული წყობილების ცოცხალი ნაშთები ევროპელებში დღემდისაც დაცულია. დიდ-რუსეთის სოფლებში ეხლაც შეხვდებით „დიდ-ოჯახებს“, რომლებიც რამოდენისამე თანამოგვარისა და მათი ცოლშვილისაგან შესდგება. ამ ოჯახებში ზოგჯერ 50-მდე წევრი ირიცხება, თუმცა ჩვეულებრივ მათი რიცხვი 20-ს არ აღემატება. იგინი ყველანი ერთს ეზოში ბინადრობენ და ყოველგვარ ქონებას საერთოდ ფლობენ. ყველაზე უხუცესი—„ბოლშაკი“—მთელს მეურნეობას უძღვის, სამუშაოს ანაწილებს და მის წესიერათ ასრულებას თვალ-ყურს ადევნებს. მიწის მუშაობა მამაკაცებსა და დედაკაცებ შორის მათი ჯან-ღონისა და ტანმრთელობის მიხედვით ნაწილდება. ზამთრობით დედაკაცები რიგ-რიგობით ამზადებენ იჯრას მთელი ოჯახისთვის და საქონელს უვლიან. ხოლო მამა-კაცები, როცა საქირაოდ გადიან, გვაროვნული ცხოვრების ძველ ჩვეულებას არ ივიწყებენ და თავის ნაოფლარიდან, რამდენიც შეუძლიათ, საზოგადო კასასაც უწილადებენ.—სერბიასა და ბოლგარეთში ამგვარს დიდ-ოჯახს „ზადრუგას“ ეძახიან, რომლის წევრთა რიცხვი ზოგჯერ 50—70 აღწევს; ძველათ კი სერბიაში მთელ სოფლებსაც შეხვდებოდით, რომლის მცხოვრებლები ერთი „ზადრუგის“ წევრებად ითვლებოდენ.

ამ რიგათ, ძველი გვაროვნული წესები დღემდე ცოცხალია ევროპელების ცხოვრებაში. ამ წესების წარმოშობა მძლავრმა საჭიროებამ გამოიწვია. უვიცი და სათითოოთ უმწეო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველყოფილი ადამიანი ერთად-ერთს ხსნას თავის მოგვარეებთან კავშირში ჰპოებდა. საგვარეულო კავშირი ყველა თავის წევრს იცავდა და იფარავდა. როცა ამ კავშირის მფარველობის ქვეშ ადამიანი საკმაოთ განვითარდა და სამეურნეო მოქმედებაშიაც წელი გაიმაგრა,—მაშინ ეს კავშირი ძლიერ ევიწროვა და მანაც პირველ-ყოფილი კავშირის წესები დაამხო. ადამიანთა შორის ახალი დამოკიდებულებანი დაიბადენ, და გვარის წევრთა უწინდელ თანასწორობასაც აღსასრული მოუვიდა.

როცა პირველყოფილი საგვაროვნო კავშირის წევრთა ძმურს თანასწორობაზე ვლაპარაკობდით, ქალებზე არაფერი გვითქვამს: როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს თანასწორობა მათ არ შეეხებოდა.

ს. გორგაძე.

(გაგრძელება შემდეგ)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უგულო ბავში.

მოხგომერისა *).

VI.

ეორე დილას ვირჟინი შეეხვეწა სერ ევერარდს ჯორჯი დაარიგე, ასე დაუფიქრებლათ ნუ იქცევა და ვილლის იქით-აქეთ ნუ არბენინებს, თუ არა გააცივებს და რამე უბედურებას შეჰყრისო. სერ ევერარდი ამოოხვრით დაჰპირდა, დავარიგებო. მას არაფრათ ესიამოვნებოდა მოეწამლა რომელიმე თავისი შვილისთვის ის ცოტა დროც, რომელსაც ის მათთან ატარებდა.

ჯორჯი ფანჯარაზე იჯდა და ფეხები გარეთ გადაეშვირა, როცა მამა მისი მის დასაძახებლათ სასადილო ოთახში შევიდა. სერ ევერარდს გული გაუსკდა, ბავში რომ ფანჯარაზე დაინახა; არ იცოდა, რა ექნა, დაძახების შეეშინდა, არ შეკრთეს და ეზოში არ გადავარდესო. მაგრამ ჯორჯმა გაიგონა მისი ფეხის ხმა, მობრუნდა, მარდათ ჩამოხტა ძირს და მიირბინა მამასთან.

— რატომ არ მოხვედი ამ დილას ჩემ ოთახში?—ჰკითხა სერ ევერარდმა თავის ვაჟს და აკოცა.

— ვირჟინიმ არ გამომიშვა!—წყენით მიუგო ჯორჯმა. —ამით ჩემი დასჯა უნდოდა.

სერ ევერარდმა გადასწყვიტა ამ სიტყვებით ესარგებლნა და ჯორჯი ,,დაერიგებინა''.

---

*) იხ. „ჯეჯილი“ № V.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენი დასჯა უნდოდა?—გაიმეორა მან.—ძალიან ვწუხვარ, რომ სასჯელი დაგიმსახურებია. რა დააშავე?

ჯორჯმა დაფიქრებით ჯერ ჭერს ახედა, მერე იატაკს დააჩერდა.

— აღარ მახსოვს, მამა!—ბოლოს გულ-წრფელათ მიუგო მან.

სერ ევერარდმა ძლივს შეიკავა უნებლიე ღიმილი. ,,ღირს იმისთვის გავუწყრე, რაც აღარც კი ახსოვს?''—გაიფიქრა მან.

— მოიცა. მოიცა! მგონი გამახსენდა!—უცებ წამოიძახა ჯორჯმა, თითი შუბლზე მიიდვა და ერთ ხანს დაფიქრებული დარჩა. ის გულმოდგინეთ ითვალისწინებდა ყველა თავის ნაშმაკარს ამ უკანასკნელ დღეებში.

— რა ჰქენი, ველარ გაიხსენე?—ჰკითხა მამამ და საუზმის საჭმელათ მაგიდას მიუჯდა.

— ვერა!—ამოოხვრით მიუგო ჯორჯმა.—ვირჟინის დავუძახებ, იმას უთუოთ ემახსოვრება.

სერ ევერარდს თან ეცინებოდა და თან გული მოსდიოდა; სრულიად ეკარგებოდა ყოველივე იმედი ჯორჯზე რაიმე შთაბეჭდილება მოეხდინა თავისი დარიგებით.

— ვირჟინის დაძახება არაფერი საჭიროა, აგერ დაჯექი და ყური დამიგდე!—უთხრა მან შვილს და თან სამოვრის კრანი მოაბრუნა და ქვეშ ასავსებათ ჩაინიკი მიუდგა.—ძალიან მაწუხებს, ჯორჯ ყველა ის, რაც ვირჟინისაგან მესმის.—ის შეჩერდა და დაკვირვებით შეხედა ჯორჯს, რომელსაც მთელი თავისი ყურადღება სამოვრის კრანისთვის მიეპყრო.

— ჯორჯ, გესმის თუ არა, რასაც გეუბნები?

— მოაბრუნე, მოაბრუნე კრანი, თუ არა წყალი გადმოვა!—უცებ წამოიძახა ბავშმა და სკამზე შეხტა.

წყალი მართლაც გადმოვიდა ავსილი ჩაინიკიდან და სტოლზე დაიქცა. ჯორჯი შეუკავებლათ ხარხარობდა და მისი გულწრფელი მხიარულება ძალა-უნებურათ მამა მისსაც გადაედვა.

— ასეთ უზრუნველ ბავშს რას მოუხერხებს ადამიანი!—უნებლიეთ გაიფიქრა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰოო! ჩემკენ რომ მოგებრუნებინა კრანი, ხომ არ შეგემთხვეოდა ეგ უბედურება?—კასკასობდა ჯორჯი.—ეე და ვილლი ყოველთვის დროზე დავხურავთ ხოლმე. რა სასაცილოთ იქცეოდა წყალი!—და ბავშმა ისევ გადიხარხარა.

მაგრამ სერ ევერარდს გაახსენდა თავისი პატარა ვილლი, რომელიც თავისი ცელქი ძმის წყალობით ახლა ავათ იყო და საწოლი ოთახიდან ვერ გამოდიოდა—და გადაწყვიტა, უსათუოთ დაერიგებინა ჯორჯი. ამანაც მორჩილებით მოისმინა მამის დარიგება. სახეზე წყენა და სინანული გამოეხატა და გულმხურვალეთ დაპირდა მამას, აწი აღარ ვიეშმაკებო.

— ვაი თუ პირველსავე შემთხვევაზე დაგავიწყდეს ეგ დაპირება!—გაიცინა სერ ევერარდმა და გაზეთების კითხვას შეუდგა. ის ძალიან კმაყოფილი იყო იმ შთაბეჭდილებით, რომელიც, როგორც ჰგავდა, მისმა სიტყვებმა ჯორჯზე მოახდინეს. ჯორჯი ჩუმათ იჯდა, საუზმეს შეექცეოდა და ეტყობოდა, გულ-მოდგინეთ ჰფიქრობდა მამის ნათქვამზე.

— ვაჟები ქალს არაოდეს არ ემორჩილებიან, ვირჟინისაც მიტომ არა აქვს გავლენა ჯორჯზე.—გადასწყვიტა სერ ევერარდმა.—აგერ, ჩემმა სიტყვებმა რა უცებ იმოქმედეს! რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ყოველი შვილის მამისადმი პატივისცემასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

გაიარა ხუთმა წამმა. ჯორჯი გამოერკვა თავისი ფიქრებისაგან.

— მამა!—მიუბრუნდა ის სერ ევერარდს.

— რა, შვილო?—მოფერებით შეეკითხა მამა და გაზეთი განზე გადადვა. ის სინანულის და მწუხარების სიტყვებს მოელოდა და უნებლიეთ კიდეც გაიფიქრა: ,,საწყალი ბავში! არა, მგონი, ნამეტანი ვქენი, ასე არ უნდა შემეწუხებინაო!''

— მამა, ზანგი რომ იყო, შენც ისე შავი იქნებოდი, როგორც ყველა ზანგები?—ცნობის მოყვარეობით ჰკითხა ჯორჯმა.

ამ მოულოდნელმა კითხვამ ცხადათ დაუმტკიცა სერ ევერარდს მთელი მისი შეცდომა, მაგრამ რა გაეწყობოდა; მან დამშვიდებით უპასუხა შვილს და მერე გამოუცხადა, თუ გინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ერთათ წავიდეთ ცხენებით სასეირნოთო. რასაკვირველია, ამ წინადადებამ ბავში აღტაცებაში მოიყვანა. პატარა ვილლი ძალიან შეწუხდა, როცა გაიგო, მთელი დილა მარტო უნდა დავრჩე სახლშიო, მაგრამ წასვლის წინ, ჯორჯი რაღაცაზე მოელაპარაკა ჩურჩულით, საიდუმლოთ და ამის შემდეგ ვილლი დამშვიდდა და კიდეც გამხიარულდა.

სერ ევერარდი და ჯორჯი წავიდენ.

— ქალაქში გავივლით, მამა?—ჰკითხა ჯორჯმა.—მე იქ ერთი რამ მაქვს საყიდელი.

— საყიდელი? რა უნდა იყიდო?

— ოჰ, ეს ისეთი საიდუმლოა, რომ არაფრით არ შეიძლება გითხრა!—წამოიძახა ბავშმა, მაგრამ ერთ წუთს შემდეგ დაუმატა:—მაგრამ არა! რატომ დაგტანჯო ასე? თუ ძალიან გინდა—გეტყვი. გითხრა?

— ჰო, ძალიან, ძალიან მინდა. მითხარი.

— აი, საქმე რაშია. ამ ცოტა ხანში შენი დაბადების დღეა. რა გიამება რომ გაჩუქოთ მე და ვილლიმ?

— ეს თქვენ თითონ უნდა გადაწყვიტოთ. რაც თქვენ მოგეწონებათ, ის მეც მომეწონება.

— არა მგონია. მაგალითათ მე პატარა სპილენძის სალდათები მომწონს, შენ კი რაში გინდა სალდათები? ბავში ხომ არა ხარ, რომ ომიანობა ითამაშო?

სერ ევერარდი დაეთანხმა თავის ვაჟს, რომ მართლაც ამგვარი საჩუქარი მისთვის მაინც და მაინც შესაფერი არ იქნებოდა.

— ჰოო!—კმაყოფილებით გაიღიმა ჯორჯმა, მერე განაგრძო:—მაგრამ რაც დიდებს ესაჭიროებათ, ის შენ ყველაფერი გაქვს. საათიც გაქვს, ტერმომეტრიც. აბა რა გაჩუქოთ?

— არ ვიცი ღმერთმანი. ამას გარდა რაც შენ დაასახელე, ყველა ის ძვირათაც ღირს. უთუოთ მაგდენი ფული არც შენ და არც ვილლის არ გექნებათ. რამდენი გაქვსთ სულ?

— საქმეც იმაშია, რომ სულ არაფერი არა გვაქვს!—გამოუტყდა ჯორჯი. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ მოგვცემ რამდენიც საჭირო იქნება, რადგანაც შენ ... ჩუქრისთვის გვჭირდება, სხვისთვის ხომ არაფრისთვის.

სერ ევერარდს უნებლიეთ გაეცინა.

— ეს ცოტა საზარალოა ამ გვარათ საჩუქრების მიღებ-ბა!—თქვა მან.

— სრულიადაც არა!—არ დაეთანხმა ჯორჯი—ეგ საჩუ-ქარზე ჰკიდია. თუ კარგი საჩუქარია, საზარალო რათ იქნება?

სერ ევერარდმა ისევ გაიცინა და აღარა უპასუხარა.

— აი მაღაზიაც!—უცებ წამოიძახა ჯორჯმა. გავჩერდეთ! ისინი მიუახლოვდენ პატარა დუქანს, რომელშიაც ყველა-ფერი იყიდებოდა, როგორც ყოველ პატარა ქალაქის დუ-ქანში.

— აბა, ახლა დამპირდი,—მოუბრუნდა მამას ჯორჯი და ცხენიდან ჩამოხტა.—დამპირდი რომ არც კარის ჭვრიტიმალში შემოიჭვრეტ, არც ფანჯარაში და არ მოინდომებ გაიგო, რას გიყიდი.

სერ ევერარდმა დაამშვიდა შვილი და ჯორჯი დუქანში შევიდა.

— დიდი კაცისთვის საჩუქარი მომეცით რამე—მიუბრუნ-და ის გამყიდველ ქალს.

ის დატრიალდა და პატარა მყიდველს ათასგვარი საგნები დაულაგა წინ. ჯორჯს არც ერთი არ მოეწონა.

— ისეთი არაფერი გაქვსთ, რომ კაცმა შეიძლოს ჯიბეში ატაროს?—იკითხა მან.

ქალს, როგორც ჰგავდა, მშვენიერმა აზრმა გაუარა თავ-ში. ის საჩქაროთ გაეშურა ფანჯრისკენ, სადაც ქუჩიდან და-სანახავათ სხვა და სხვა ნივთები იყო დაწყობილი.

— ფრთხილათ!—დაუყვირა შეშინებულმა ჯორჯმა.

ქალი გაშტერდა კომპასით ერთ ხელში და ქისით მეო-რეში.

— მამა დაინახავს ქუჩიდან! მისთვის ვყიდულობ საჩუ-ქარს! —აუხსნა ბავშმა

ქალმა ბოდიში მოითხოვა თავის შეცდომაში, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯორჯმა მაინც ალარც კომპასი მიიკარა და ალარც ქისა, უთუოთ ორივე დაინახა! — იმეორებდა ის დაჟინებით.

ჯორჯი დაღონებული იდგა დუქანში და წყენით მისჩერებოდა სხვა-და-სხვა ნივთებს, რომლებიც ქალმა დუქნის სხვა-და-სხვა კუთხიდან მოუტანა, არც ერთი არ მოსწონდა და არ იცოდა, რა ექნა.

— თქვენ ქმარი გყავთ? — უცებ ჰკითხა მან გამყიდველ ქალს.

პასუხის მაგიერათ ქალმა ცხვირსახოცი ამოიღო ჯიბიდან და თვალებზე მიიფარა.

— ალბათ მოგიკვდათ! — შეწუხდა თითონ ჯორჯიც. — უკაცრავათ, რომ აგატირეთ. რა უბედურებაა! მე კი მინდოდა მეკითხა მისთვის, რა საჩუქარი ასიამოვნებს ყველაფერზე უფრო დიდ, ხნიერ კაცს. ნეტავი ასე არ შემეწუხებინეთ! არ გახსოვთ მაინც რა საჩუქრები უყვარდა თქვენ ქმარს?

ალბათ ქმრის მოგონებამ ქალს თუთუნიც მოაგონა; იმავ წამს მან უთხრა ბავშს, სათუთუნე იყიდეთო. ჯორჯი ამ სიტყვებმა აღტაცებაში მოიყვანეს.

— იმედია, სათუთუნე ფანჯარაზე არ სდევს? — იკითხა მან. მაგრამ დახე უბედურებას! სათუთუნე სწორეთ ფანჯარაზე იდვა.

— რა ვქნათ ახლა? — ისევ შეწუხდა ჯორჯი. — მაგრამ არა... მოითმინეთ! მე ვიცი, რაც უნდა ჰქნათ!

მან გააღო დუქნის კარი და დაუყვირა სერ ევერარდს:

— მამა! ერთ წამს იქით გაიხედე! შენი საჩუქარი ფანჯარაზე დევს და ვაი თუ დაინახო!

სერ ევერარდმა აუსრულა შვილს თხოვნა და ყურადღებით დაუწყო თვალიერება ქუჩის მეორე გვერდზე მდგომ ჭიშკარს. ეს მაინცდამაინც დიდათ არაფრათ ესიამოვნა მეეზოვეს, რომელიც ამ წამს იქიდან გამოდიოდა. ეტყობოდა, მთვრალი იყო. და ძალიან ცდილობდა, ეს გარემოება არავისთვის შეენიშნინებინა.

ჯორჯი კი ამ დროს აღტაცებით დაჩერებოდა რამდენიმე სათუთუნეს, რომლებიც ქალმა წინ დაულაგა. ბოლოს ყველაზე პატარა ამოირჩია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქ ძალიან ცოტა თუთუნი ეტევა, არ ჯობს, რომ უფრო დიდი იყიდოთ?—შეეკითხა ქალი.

— აჰ, დიდი თუ პატარა—სულ ერთია! მამა ხომ მაინც არ წევს თუთუნს!—აუხსნა ჯორჯმა. ოღონდ კი ლამაზი სათუთუნე იყოს და მისი ჯიბეში ტარება ადვილათ შეიძლებოდეს, სხვა არა მინდარა! კარგათ გახვიეთ, რომ მამა არ მიხვდეს, რა არის.

ქალმა სათუთუნეს რამდენიმე ფურცელი ქაღალდი შემოახვია და ჯორჯი ბოლოს გავიდა დუქნიდან თავისი საჩუქრიანა.

— ხომ არაფერი დაგინახავს, მამა?—ჰკითხა ბავშმა და თავის პატარა ცხენზე შეხტა.

სერ ევერარდმა დაარწმუნა, ფანჯრისკენ ერთხელაც არ გამომიხედნიაო და თავისი მხრით ჰკითხა, როგორ ღირს ნაყიდი ნივთიო.

— თექვსმეტი პენსი! *)—უპასუხა გამყიდველმა ქალმა.

სერ ევერარდმა უნებლიეთ გაიღიმა და ფული გადაიხადა.

— სულ იაფათ ვიყიდე, არა?—თავმომწონეთ გამოუცხადა ჯორჯმა, როცა დუქანს გვარიანათ მოშორდენ.—მერე რა ლამაზია! სულ ოქროთია მოვარაყებული!.. ვაი! ვაი! ეს რა ვთქვი! მამა, ხომ არ მიმხვდარხარ, მართალი თქვი, ხომ არ მიმხვდარხარ, რა ვიყიდე?

— არა, არა, მივმხვდარვარ კი არა, ახლა სულ უფრო დავიბენი!—გაიცინა სერ ევერარდმა.—ვერაფრით ვერ წარმომიდგენია, რა გამონახე იმ პატარა დუქანში ძალიან ლამაზი და ოქროს ვარაყიანი, რომელიც თექვსმეტ პენსათ ღირს.

ჯორჯი აღტაცებული იყო.

— ვერ მიხვდები, მამა, დარწმუნებული ვარ, რომ ვერ მიხვდები.

— მეც მგონია, რომ ვერ მივხვდები.

ელ. წერეთელი.

---

*) პენსი—ორი კაპეიკია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღარიბების მეგობრები

II



ოდესაც ინგლისის მმართველმა კრომველმა წაიკითხა გარრინგტონის წიგნი სახელმწიფო არჩევნების შესახებ, გაიღიმა და წარმოსთქვა: გარრინგტონს უნდა, რომ მე ჩემს უფლებებზე ხელი ავიღო, მაგრამ კალმით მოსმული სიტყვები ხელს ვერ ამაღებინებენ იმაზე, რაც მე ხმლით მოვიპოვეო. კრომველმა საუცხოოთ გამოხატა ამ სიტყვებში ყოველი მეფის, ყოველი მთავრობის ზნეობრივი სახე. ვინც როგორი რჩევა უნდა მისცეს მთავრობას, იმას უწინარეს ყოვლისა ბატონობა უნდა და კარგი რჩევის გულისათვის ბატონობაზე ხელს არ აიღებს, ათასი საჭირო იყოს ეს ხალხის ბედნიერებისათვის. ბატონების უფლებებს ყველგან სპობდა და სპობს მხოლოთ ძალა და არა სიტყვა, ბრძოლა და არა რჩევა, სისხლი და არა მელანი. ამიტომ არ განხორციელდა არც პლატონის მიზანი, თუმცა საბერძნეთის მთავრობა პლატონის ნიჭს დიდ პატივსა სცემდა, მაგრამ მან მაინც ბატონობა არჩია პლატონის დარიგებისა და რჩევის ასრულებას. უხეირო ბატონებმა, უვარგისმა მთავრობამ საბერძნეთი თანდათან დაასუსტეს, დააუძლურეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააღარიბეს და პლატონის სიკვდილის შემდეგ ჯერ მაკედონელებმა დაიპყრეს ის, შემდეგ რომაელებმა. ყოველი მთავრობა, რაკი ის გაძლიერდება. მხოლოთ, თავისი კეთილი ცხოვრებისათვის ფიქრობს და ზრუნავს და არა სამშობლოს წარმატებისათვის. როდესაც რომი გაძლიერდა და მთელი მაშინდელი აღმოსავლეთი და დასავლეთი დაიპყრო, მთავრობამ გარყვნილებას გაუსვა ხელი, ზნეობა დაეცა, სახელმწიფო დასუსტდა, ქალაქები ღარიბებით აივსო; მათ არავითარი საქმე არა ჰქონდათ და მდიდრების ნასუფრალითა რჩებოდენ; ქვეყანა ერთი მუჭა მდიდრების ხელში იყო და მთელ თავის ცხოვრებას ისინი ლოთობაში და ფუფუნებაში ატარებდენ.

ამ დროს დაიბადა იესო ქრისტე. პატარაობისას ქრისტე დურგლობას სწავლობდა, მაგრამ იმის გულსა და გონებას ეს ხელობა არ იზიდავდა. ის გულდასმით უგდებდა ყურს მაშინდელ მწიგნობართ, კითხულობდა წიგნებს და სულ იმას ფიქრობდა, თუ როგორ შეიძლებოდა ცხოვრების ისე მოწყობა, რომ ყველა ბედნიერი ყოფილიყო.

ბუნებით ქრისტე იყო უზომოთ კეთილი და სიყვარულით აღსავსე; ყოველ ადამიანში ის ჰხედავდა თავის საკუთარ ძმას და დას, მას ყველა უყვარდა, ყველა ეცოდებოდა, ყველას მდგომარეობა აწუხებდა, ხალხის ტანჯვა სტანჯავდა მასაც. დიდხანს ფიქრობდა ქრისტე, დიდხანს ებრძოდა თავის თავს და ბოლოს გადაწყვიტა: ქვეყნისათვის შეეწირა თავი და ხალხი როგორმე გამოეყვანა ბედნიერების გზაზე. ქრისტეს რწმენით ბედნიერებისათვის საჭირო იყო თანასწორობა როგორც ქონებით, ისე მდგომარეობით, თავისუფლება და სიყვარული. ამიტომ მან გამოაცხადა: ღმერთი სიყვარულისა ყველას მამაა, ჩვენ ყველა ღვთის შვილები ვართ, ერთმანერთს უნდა გავუზიაროთ ყოველისფერი, ერთმანერთი უნდა შევიყვაროთ, ერთმანერთის სიკეთისათვის უნდა ვზრუნავდეთ და სიმდიდრის მოხვეჭას არ უნდა ვცდილობდეთ, რადგანაც ეს ღვთის წინააღმდეგიაო. რადგანაც სიღარიბიდან ბევრი უბედურება იბადება, ქრისტე ცდილობდა ქონების გათანასწორებას და მდიდრებს ჯოჯოხეთით აშინებდა; ის ხშირათ ამბობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და: მდიდარისათვის სამოთხეში შესვლა ძნელია, აქლემი უფრო ადვილათ გაძვრება ნემსის კურწში, ვიდრე მდიდარი მოთხეში შევაო; ის არიგებდა მდიდრებს: თქვენი ქონება ღარიბებს დაურიგეთ, თუ გინდათ, რომ სასუფეველში შეხვიდეთო. ქრისტეს სული და გული ღარიბებისაკენ, ქვრივ-ობლებისაკენ არის; ცალიერ რწმენას და ლოცვას ქრისტეს თვალში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ის ითხოვს უმთავრესათ კეთილ საქმეს; ღარიბებს გაუნაწილეთ თქვენი ქონება, ჩააცვით მათ, ასვით და აჭამეთ, მთხოვნელს მიეცით, კეთილი საქმისათვის სამაგიეროს ნუ ითხოვთ, აი რას ავალებდა ქრისტე ყველას. ყოველივე ეს გვიმტკიცებს, რომ ქრისტე იყო კომმუნისტი, რომელსაც უნდოდა კაცობრიობის გათანასწორება ქონებითა და მდგომარეობით, სიმდიდრისა და სიღარიბის მოსპობა და ხალხის ზნეობრივათ ამაღლება ისე, რომ ყველას ერთმანერთის საკეთილდღეოთ და საბედნიეროთ ეზრუნათ და არა საკუთარი ჯიბისათვის.

ქრისტეს მოციქულებს სწორეთ ასე ესმოდათ ქრისტეს მოძღვრება. მისი ჯვარცმისა და სიკვდილის შემდეგ მოციქულებმა დააარსეს იერუსალიმში კომმუნისტური კავშირი; კავშირის წევრებს კერძო საკუთრება არა ჰქონდათ, თავის ქონებას ყოველი წევრი კავშირს სწირავდა და საერთო ქონებით ყველა თანასწორათ სარგებლობდა. პირველ მამებსაც სწორეთ ასე ესმოდათ ქრისტეს მოძღვრება. წმინდა იერონიმი, წმინდა ვასილი და იოვანე ოქროპირი სიმდიდრეს ქურდობათა სთვლიდენ. სამართლიანობა მოითხოვს, რომ ქონება საერთო იყოს, კერძო საკუთრება უსამართლობის ნაყოფიაო, ქადაგებდა წმინდა კლიმენტი. მიწა ღმერთმა საერთო საკუთრებათ მისცა როგორც მდიდრებს, ისე ღარიბებს და მაშ თქვენ, მდიდრებო, რა უფლებით დაისაკუთრეთ ამდენი მიწა, რომელიც ღმერთმა ყველას სასარგებლოთ გააჩინაო, ამხილებდა მდიდრებს წმინდა ამბროსი. მაგრამ ყოველივე ეს დარჩა ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. წმინდა მამებსა და სამღვდელოებას მთავრობა და მდიდრები ყურს არ უგდებდენ და ცხოვრებდენ ისე, როგორც მათი საკუთარი კეთილ დღეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოითხოვდა; გაჭირვებული ხალხის მდგომარეობა მათ სრულებით არ აწუხებდა. როდესაც სამღვდელოება თანდათან გაძლიერდა და უფლება მოიხვეჭა, მით თვითონ უღალატა ქრისტეს მოძღვრებას, მთავრობას ამოუდგა გვერდში და ერთგულათ შეუდგა სიმდიდრის მოხვეჭას და ხალხის შევიწროებას. როდესაც ილაჯ-გაწყვეტილი და ტყავ-გამძვრალი ხალხი აჯანყდებოდა, სამღვდელოება მას არიგებდა: ყოველ მთავრობას უნდა ემორჩილოთო და ხალხის ტვირთის შემსუბუქებისათვის სრულებით არა ზრუნავდა. ასე იყო ევროპაში. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ჩვენი ძველი სამღვდელოების სასახელოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ის საშუალო საუკუნოებში განათლებას სათავეში უდგა და ხალხში უხვათ ავრცელებდა სწავლას.

ხალხის ცხოვრება ევროპაში თანდათან უარესდებოდა; ღარიბების რიცხვი მრავლდებოდა; კანონი და სამართალი აღარსად იყო; მთავრობა და ბატონები ყველას ტყავს აძრობდენ და ამ გარემოებამ გამოიწვია ხალხის აჯანყება ინგლისში, გლეხების ომი გერმანიაში, გლეხების აჯანყება ანუ ეგრეთ წოდებული ჟაკერია საფრანგეთში. რადგანაც მაშინდელს დროში სიმდიდრის უმთავრეს წყაროს მიწა წარმოადგენდა, მდიდრები და თავადები ყველგან ცდილობდენ, მიწები თავის ხელში ჩაეგდოთ; გაჩნდა საშინელი ძალმომრეობა და ადგილების წართმევა; დამარცხებულები უმეტეს ნაწილათ გლეხები იყვენ; განსაკუთრებით ინგლისში გავრცელდა მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საუკუნეში ამგვარი მტაცებლობა, რისი წყალობითაც გამარჯვებული ლორდები მთელ სოფლებს აჰყრიდენ ხოლმე თავისი ადგილ-მამულიდან და ულუკმაპუროთ სტოვებდენ. ღარიბების მოსარჩლეთ გამოვიდა ტომას მორი.

მორი დაიბადა 1480 წელს; განათლება მან მიიღო განთქმულ ოქსფორდის უნივერსიტეტში და თავისი მოღვაწეობა ცხოვრების ასპარეზზე ვექილობით დაიწყო. შემდეგ ის შევიდა სახელმწიფო სამსახურში, ასრულებდა ბევრ უმაღლეს თანამდებობას და ბოლოს დაინიშნა სახელმწიფოს კანცლერათ ე. ი. მეფის შემდეგ სახელმწიფოში ის პირველი პირი იყო თავისი უფლებებით. მორი იყო განვითარებული და განათ-

ლებული ადამიანი; მას ჰქონდა მეტათ კეთილი გული, ყოვ-
ლათ პატიოსანი, პირდაპირი და მოუსყიდავი ხასიათი; თავის-
რწმენას ის არაფრის გულისათვის არ უღალატებდა და სინი-
დისს და პატიოსნებას არასფერში არ გაცვლიდა. მორი ვერ
შეურიგდა ინგლისის მეფის გენრიხ VIII-ის უზნეო და გარ-
ყვნილ ცხოვრებას და კანცლერობას თავი დაანება.

პარლამენტმა მოინდომა მეფის სიამოვნება და გამოაცხადა
ის ეკლესიის თავათ და მით პარლამენტმა ვითომ მცხოვრებლებს
დაუმტკიცა: მეფე წმინდა ბ პატიოსანი კაციაო. რადგანაც მეფემ
ახალი თანამდებობა მიიღო, ქვეშევრდომებს უნდა შეეფიცათ
მისთვის ერთგულებაში; მორმა არა თუ არ მიიღო ამგვარი
ფიცი, მეფე ინგლისის ეკლესიის თავათ არ აღიარა და გამოა-
ცხადა: პარლამენტს არავითარი უფლება არა ჰქონდა სარწმუ-
ნოების კითხვაში გარეულიყოვო. მორი ამის გულისათვის სა-
მართალში მისცეს და სასამართლომ ციხე მიუსაჯა. მისი მტრე-
ბი ამგვარის სასჯელით არ დაკმაყოფილდენ, მეფეს შეუჩნდენ
და მორის საქმე ხელმეორეთ დაინიშნა გასარჩევათ 1535 წ.;
ახალმა სასამართლომ მორს სიკვდილით სასჯელი მიუსაჯა.

მორმა განსაკუთრებით სახელი გაითქვა თავისი უტოპი-
ით, რომელიც დაიბეჭდა 1518 წელს; წიგნს სახელათ ერქვა:
სახელმწიფოს საუკეთესო წყობილება და კუნძული უტოპია.
ეს წიგნი საშინლათ გავრცელდა მთელს ევროპაში; სიტყვას
უტოპიას ყოველი ხალხის მწერლობა ხმაროობს ყოველივე იმის
გამოსახატავათ, რაც საოცნებოა, საარაკო ან ძნელი განსა-
ხორციელებელი. მორს არ მოსწონდა თანამედროვე საზოგა-
დოებრივი წყობილება; მისი აზრით შესაძლებელი იყო ცხოვ-
რების ისე მოწყობა, რომ ყველა ბედნიერი ყოფილიყო; თუ-
კი ყველა შეიგნებდა, თუ როგორ უნდა მოეწყოს ცხოვრე-
ბა, რომ ყველა კმაყოფილი იყოს, მაშინ ასეთი წყობილება
ადვილათ განხორციელდებოდა და სწორეთ ამიტომ დასწერა
მორმა თავისი უტოპია, ამითი მას უნდოდა, ხალხისათვის ეთ-
ქვა: ისე მოაწყვეთ თქვენი ცხოვრება, როგორც მე ავწერე
და მაშინ ყველა ბედნიერი იქნებითო. რადგანაც მორის დროს
თავისუფალი აზრი დევნული იყო, ამიტომ მორმა ისარგებლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლუმბისა და ვესპუჩის მიერ ამერიკის აღმოჩენით და უტოპია ნამდვილ კუნძულათ გამოაცხადა ამერიკის მახლობლათ; თავის უტოპიაში მან ვითომ აღწერა, თუ როგორ ცხოვრობს ხალხი უტოპიაზე; ნამდვილათ კი უტოპია მისი მცხოვრებლებით და წყობილებით თვითონ მორმა გამოიგონა. უტოპია წარმოადგენს მოზრდილ კუნძულს, საცა 54 ქალაქია; მცხოვრებლები უმთავრესათ ქალაქებში სცხოვრებენ და სოფლათ მხოლოთ სამუშაოთ მიდიან; მცხოვრებთა რიცხვი ათი მილიონია; უმთავრესი ქალაქია ამავროტუმი მდინარე ანიდრაზე. სახლები არის სამ სართულიანი, ქვის და ყოველ სახლს უკანა აქვს ბაღი. სახლები კლიტეებით არასოდეს არ იკეტება. ყველა სახლები ეკუთვნის მთელ მცხოვრებლებს, რომლებიც კენჭის ყრით ინაწილებენ ერთმანერთში სადგომებს ყოველი ათი წლის განმავლობაში. ყოველი ქალაქი გზავნის ამავროტუმში წელიწადში ერთხელ სამ წარმომადგენელს; ეს 162 წარმომადგენელი შეადგენს კუნძულის უმაღლეს მთავრობას. ეს მთავრობა განაგებს მხოლოთ მთელი კუნძულის საერთო, საზოგადო საქმეებს, თავთავის საქმეს კი ყოველი ქალაქი თვითონ განაგებს უმაღლეს მთავრობასთან დამოუკიდებლათ; ამგვარათ კუნძული წარმოადგენს ქალაქების ფედერაციას. თვითეული ქალაქი განაგებს თავის საქმეებს ამგვარათ: ოცდაათი ოჯახი ირჩევს ერთ უფროსს—ფილარხს; ათი ფილარხი თავის შორის ირჩევს ერთ მეთაურს—ტრანიბორს; ქალაქის ყველა ფილარხები შეადგენენ სენატს; ყველა მცხოვრებლები ერთათ ირჩევენ ოთხ კანდიდატს, ამათგან სენატმა უნდა აირჩიოს ერთი თავი. სენატი განაგებს ქალაქის ყოველ საქმეებს, მაგრამ სენატი რომ ხშირათ არ შეიკრიბოს ხოლმე, ტრანიბორები იკრიბებიან ქალაქის თავთან სამდღეში ერთხელ და აწარმოებენ საქმეებს; საჭიროების დროს ისინი იწვევენ სენატს; ქალაქის თავს ირჩევენ სამუდამოთ, ხოლო თუ ის უვარგისი აღმოჩნდა, მას ხალხი ცვლის და სხვას ირჩევს; დანარჩენ პირებს ირჩევენ თითო წლით. როცა ძნელი კითხვები იბადება, თავი იწვევს სენატს; თუ სენატსაც გაუძნელდა გადაწყვეტა, მაშინ ეკითხებიან თვითონ ხალხს; ყოველი ოცდაათი ოჯახი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის აზრს ატყობიებს ამგვარ შემთხვევაში თავის ფილარხს, ის სენატს და ამგვარათ ირკვევა მთელი ქალაქის მცხოვრებლების სურვილი და აზრი. უტოპიაში არც წოდებაა, არც კლასები; აქ არც გლეხია, არც აზნაური, არც მუშა, არც აღარა—აქ ყველა თანასწორია; შრომა ყველასათვის სავალდებულოა, ყველამ უნდა აირჩიოს რაიმე ხელობა, რომელიც თვითონ მას მოსწონს და იმუშაოს დღეში ექვსი საათი: სამი შუადღემდე, სამი ნაშუადღევს. ფილარხები თვალყურს ადევნებენ, რომ მუშაობას არავინ გაურბოდეს და თავის საქმეს ყველა აკეთებდეს. ქალებიც ისე მუშაობენ, როგორც მამაკაცები, ხოლო მათ საზოგადოთ უფრო ადვილ საქმეს აკისრებენ. მუშაობისაგან განთავისუფლებული არიან მხოლოთ მეცნიერები. ეს მეცნიერები ვინღა არიან? უტოპიაში არის ბევრი სასწავლებელი, საცა ქალებიც დადიან და ვაჟებიც. ლექციებს კითხულობენ დილით ადრე და ლექციების შემდეგ იმდენი დრო კიდევ რჩება, რომ თავისი საქმე ყველამ მოასწროს. მოსწავლეთა შორის ყველაზე უფრო ნიჭიერებს მუშაობისაგან ანთავისუფლებენ და სასწავლებლებში სტოვებენ; აქ ისინი მხოლოთ მეცნიერებას ემსახურებიან, მაგრამ თუ მოლოდინი არ გაამართლეს და ზარმაცობა დაიწყეს, მათ სასწავლებლიდან ითხოვენ და რაიმე სამუშაოს მიუჩენენ ისევ. ქალაქებში ამზადებენ სხვა და სხვა საქონელს; სოფლათ კი მოჰყავთ სამეურნეო ნაწარმოები: ხილი, პური ბოსტნეულობა, ღვინო, ყველი, კარაქი, ერბო, ბამბა, მატყლი, ხის მასალა და მრავალი სხვ. ყოველ წელიწადს ქალაქის მცხოვრებლების ერთ ნაწილს მთავრობა გზავნის სოფლათ და აქ ისინი ეწევიან ყოველგვარ მეურნეობას; ერთი წლის შემდეგ ნახევარი ისევ ქალაქში ბრუნდება, ნახევარი კი სოფელში რჩება, რომ ხელმძღვანელობა გაუწიოს თავისი გამოცდილებით იმათ, ვინც შემდეგ წელიწადს ქალაქიდან სოფლათ წამოვა სამუშაოთ. მსურველს შეუძლია სულ სოფელში დარჩეს. სოფლისა და ქალაქის ყოველგვარ ნაწარმოებს აგროვებენ საწყობებში; ყოველი მცხოვრები მოდის აქ, ითხოვს მას, რაც მისთვის საჭიროა და დაუყოვნებლივ მიიღებს. რა უცებ დააცალიერებენ საწყობებსო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტყვის მკითხველი. დღეს რომ გახსნათ ამისთანა საწყობი და გამოუცხადოთ მცხოვრებლებს: წაიღეთ, რაც გინდათო, მართლაც უცებ დაიტაცებენ, რადგანაც ყველა იმდენს წაიღებს, რამდენსაც მოერევა; უტოპიაში კი ამგვარ მტაცებლობას ალაგი არა აქვს; იქ ყველამ იცის, რომ ის მთელი თავისი სიცოცხლე უზრუნველყოფილია, როცა კი დაჭირდება რამე, ყოველთვის მიიღებს, ამიტომ არასოდეს არ მიაქვს იმაზე მეტი, რაც მისთვის საჭირო არ არის. ამგვარათ უტოპიაში არავითარი კერძო საკუთრება არ არის და ყველაფერი საერთოა. ქალაქ გარეთ ბაღებში საავათმყოფოებია. ყოველ ოცდაათ ოჯახს აქვს საერთო სახლი სადილისა და ვახშმის საჭმელათ; აქ მზადდება საჭმელი ოცდაათი ოჯახისათვის ერთათ; საჭმელს ამზადებენ რიგრიგათ ქალები. ყოველ ოჯახს შეუძლია ცალკე მოიმზადოს სადილი თავის სახლშიც. თავისუფალ დროს იმართება ამ სახლებში კონცერტები, წარმოდგენა და სხვა მამაკაცები ცოლს ირთამენ ოცდაორი წლიდან; ქალები თხოვდებიან თვრამეტი წლიდან.

ამგვარი წყობილების გამო უტოპიაში ყველა ბედნიერია და კმაყოფილი. სხვა და სხვა დამნაშავეებს სჯიან მით, რომ ყველაზე მძიმე სამუშაოს აკეთებინებენ დროებით. ვისაც მოგზაურობა მოუნდება, მან ნებართვა უნდა აიღოს თავისი ქალაქის მთავრობისაგან და საცა უნდა წავიდეს, ყველგან მიცემენ ყოველისფერს საჭიროს,—ბინას, ტანისამოსს, საზრდოს; მაგრამ ოუ დღეზე მეტს დარჩა სადმე, გადაწყვეტილი ექვსი საათი უნდა იმუშაოს უსათუოთ დღეში. რადგანაც ამგვარი შრომით უტოპიის მცხოვრებნი იმდენ რასმე აკეთებენ, რომ თავის საჭიროებასაც იკმაყოფილებენ და კიდეცა რჩებათ, ამიტომ ზედმეტ საქონელს ისინი უცვლიან სხვა ერებს იმგვარ საქონელში, რაც უტოპიაში არ არის. ფული უტოპიაში არ არის; ძვირფასი ნივთები მათ სამარცხვინოთა და ადამიანის ღირსების დამამცირებლათ მიაჩნიათ. ოქროს ისინი მხოლოთ ბორკილებისათვის ხმარობენ და მძიმე დანაშაულობისათვის დამნაშავეს ოქროს ბორკილებს ადებენ! უტოპიაში სინდისის სრული თავისუფლებაა: იქ ყველა აღიარებს იმ სარწმუ-

ნოებას, რომელიც მას მოსწონს; ქალებს იმგვარივე უფლება აქვთ, რაც მამაკაცებს; მიცვალებულებს იქ წვამენ. ამ გვარია საზოგადოებრივი წყობილება უტოპიაში. მორის დროს ინგლისში ძლიერი იყო მეფის მთავრობა; მეფე დესპოტიურათ განაგებდა სახელმწიფოს, ფუფუნებაში და გარყვნილებაში ცხოვრობდა; მთავრობას სამართალი სრულებით დავიწყებული ჰქონდა, ლორდები გლეხებს ტყავს აძრობდენ და პირიდან ლუკმა პურს აცლიდენ; ზოგს ურიცხვი სიმდიდრე ჰქონდა, სხვები შიმშილით იხოცებოდენ. როგორც დავინახეთ მორის აზრით კაცობრიობის გასაბედნიერებლათ სამი რამ არის საჭირო: პირველი—კერძო საკუთრების მოსპობა და მის ნაცვლათ საზოგადო საკუთრების დაარსება, მეორე—ყოველგვარი წოდების მოსპობა და შრომის დავალება ყველასათვის, მესამე ნაძალადევ მთავრობის მოსპობა და სახელმწიფოს საქმეების მართვა ხალხის მიერ დროებით არჩეული და ხალხისავე კონტროლის ქვეშ მყოფი პირების შემწეობით.

ი. გომართელი.

(გაგრძელება შემდეგ)



მსოფლიო ისტორია

ერნესტ ლავისისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნი III

ახალი დროება.

თავი IV

საფრანგეთის და ესპანეთის ომები.

119. იტალიის ომები.—1. ზევით მოვიხსენიეთ, რომ მე-XV საუკუნის დამლევს საფრანგეთის მეფეები და ესპანეთის მეფეები ძალიან გაძლიერდნენ. ორთავეს უნდოდათ თავიანთი საბძანებელი გაევრცელებინათ და მიესივნენ იტალიას.

2. იტალია დაყოფილი იყო რამდენსამე სახელმწიფოდ. უმთავრესნი იყვნენ: ვენეციის რესპუბლიკა, მილანი საჰერცოგო, ტოსკანის საჰერცოგო, პაპის სამფლობელო, ნეაპოლის ანუ ორივე-სიცილიის სამეფო. 3. ამ სახელმწიფოებს ერთმანერთში თანხმობა არა ჰქონდათ, ამიტომაც მათი დაპყრობა უცხოელებისათვის ძალიან ადვილი იყო.

4. საფრანგეთის მეფემ, კარლო VIII-მ სცადა დაეპყრა ნეაპოლის სამეფო და მისმა მემკვიდრემ, ლუდოვიკო XII-მ, ამ სამეფოს გარდა მილანის საჰერცოგოს დაპყრობა მოინდომა.

5. მაშინ საფრანგეთის მეფეებს უმთავრესს მეტოქედ ესპანეთის მეფე ფერნანდო-კათოლიკე გამოუჩნდა და მასაქეთ დაიწყო საფრანგეთის და ესპანეთის მეფეებს შორის ომი, რომელიც დიდხანს გაგრძელდა.

6. საფრანგეთის მეფემ ფრანჩესკო I-მა დიდად გაიმარჯვა იტალიაში მელენიანოს ომში (1515 წ.) და დაიჭირა მილანის საჰეოცოგო, მაგრამ დიდხანს ვერ შეინარჩუნა. ამასობაში ესპანეთის მეფეები კარლო V გამეფების აქეთ უფრო გაძლიერდნენ.

120. კარლო V.—7. ესპანეთის მეფეს, კარლო V, გერმანეთის კეისრად არჩეულს (1519 წ.) ვეება სამფლობელო ეპყრა. იმის იმპერიას შეადგენდა ესპანეთი, ნიდერლანდია, ფრანშ-კონტე, ავსტრია, ორივე სიცილიის სამეფო, მილანის საჰერცოგო, შექსიკა და სამხრეთი ამერიკა. 8. საფრანგეთი და ინგლისილა აკლდა, რომ ქვეყნის პატრონად გამხდარიყო.

9. მაგრამ საფრანგეთის მეფენი ფრანჩესკო I (1515—1547 წ.) და ჰენრიკო II (1547—1559 წ.) თითქმის განუწყვეტლივ ეომებოდნენ კარლო V-ეს. 10. შეიერთეს ოსმალო, რომელიც თანდათან მოიწეოდა და დაიპყრა აფრიკაში ეგვიპტე, ტუნისი, ალჟირი და ევროპაში უნგრეთი. 11. შეიერთეს აგრეთვე გერმანელი მთავრები, რომელნიც ადვილად ეურჩებოდნენ თავიანთ კეისარს. 12. ამ კავშირების წყალობით საფრანგეთმა დაიპყრა ქალაქები მეცი, ტული და ვერდენი, და კარლო V-ეს მეფობაზედ ხელი ააღებინა (1556 წ.).

1. რა ჰქნეს საფრანგეთის და ესპანიის მეჯეებმა მე-XV საუკუნის დამლევს?—2. რა სახელმწიფოები იყო იტალიაში?—3. ამ სახელმწიფოებს ჰქონდათ თანხმობა?—4. რა ჰქნეს კარლო VIII და ლუდოვიკო XII? —5. ვინ იყო უმთავრესი მეტოქე საფრანგეთის მეფეებისა?—6. რა მოუვიდა ფრანჩესკო I?—7. რა ქვეყნები ეჭირა კარლო მეხუთეს?—8. რა აკლდა?—9. ვინ ეომებოდა?—10. რა ქვეყნები დაიპყრა ოსმალომ?—11. ვინ შეიერთა საფრანგეთის მეფემ?—12. რა დაიპყრა საფრანგეთმა? რა ჰქნა კარლო V?

121. ფილიპე II.—1. კარლო V-ემ რომ მეფობაზე ხელი აიღო, მისი საბძანებელი ორად გაიყო. 2. მისს ძმას ფერნანდოს, ჩეხიის და უნგრეთის მეფეს, ერგო ავსტრია. მისს შვილს ფილიპე II-ს ერგო ესპანია, იტალია, ნიდერლანდია და ამერიკის კოლონიები. 3. 1580 წ. ფილიპე II დაემკვიდრა პორტუგალიას და უველა მისს კოლონიებს.

4. ფილიპე სცხოვრებდა კარ-დახშულად მადრიდის ახლო უდაბურ ადგილს აშენებულს სასახლეში, ესკურიალში, და აქედან გზავნიდა თავის ბძანებას. 5. იმას უნდოდა გაუწყვეტა უველა პროტესტანტები არა მარტო თავის სახელმწიფოში,—მთელს ევროპაშიაც. 6. ინგლისის დასაპყრობლად გაგზავნა 135 ხომალდის ფლოტი, უძლეველი არმადა, მაგრამ გრიგალმა დაუმსხვრია ფლოტი (1588 წ.).

7. ფილიპე გზავნიდა საფრანგეთს ფულსა და სალდათებს ლიგის *) საშველად მეფის წინააღმდეგ. 8. ისეთის სიმკაცრით სდევნიდა ნიდერლანდელი პროტესტანტებს, რომ ნიდერლანდია აუჯანყდა 9. ფილიპემ განდევნა მაჰმადიანნი, რომელნიც ესპანიაში დარჩენილიყვნენ.

*) კავშირი საფრანგეთის კათოლიკებისა, შემდგარი ჰენრიკო III და ჰენრიკო IV დროსა პროტესტანტობის ამოსაწყვეტად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ფილიპე იმდენ ფულს ხარჯავდა, რომ მის სიკვდილის შემდეგ ერთი მილიარდის ვალი დარჩა. მაგრამ მეფემ ვერცერთს საქმეში ვერ გაიმარჯვა, ესპანია კი სრულებით დაქცია. 1598 წ. საფრანგეთის მეფემ, ჰენრიკო VI-ემ, ხელი მოაწერინა ფილიპეს ვერვენის ტრაქტატზედ.

12. ოცდაათის წლის ომი.—11. საფრანგეთის მეფეებმა გაუძლეს საშიშს მტერს, დაამარცხეს კარლო V და ფილიპე II. 12. მაგრამ ესპანიის მეფეებს ნათესაობაში მშველელნი ამოუჩნდათ—კეისრები.

13. კეისარმა ფერნანდო II-ემ, იეზუიტების გაზრდილმა, მოინდომა კათოლიკობის აღდგენა ძალით. 14. მიჰყო ხელი ჯერ თავის სახელმწიფოს, ჩეხიასა და ავსტრიას. 15. ჩეხელები აუჯანყდნენ და გადმოაგდეს მისნი მოხელენი პრაგის სასახლის ფანჯრებიდან (1618 წ.).

16. მაშინ დაიწყო ოცდაათი წლის ომი. 17. ფერნანდო კეისარმა შეაერთა ერთს კავშირშა გერმანიის ყველა კათოლიკე მთავრები და დაამარცხა პროტესტანტები. 18. მერე შეუერთდა თავის ნათესავს, ესპანიის მეფეს; და ავსტრიის სამეფო სახლი კვლავ ისევე გაძლიერდა, როგორც კარლო V ის დროს. 19. მაშინ შვეციის მეფე გუსტავ-ადოლფი, პროტესტანტი, წამოვიდა თავის ლაშქრით გერმანელების საშველად (1630 წ.). სამს დიდს ბრძოლაში გაიმარჯვა, მაგრამ მესამეში კი მოჰკლეს (1632 წ.).

20. საფრანგეთის მეფე თუმცა კათოლიკე იყო, მაგრამ არ უნდოდა ავსტრიის სახლის მეტისმეტი გაძლიერება. 21. ლუდოვიკო XIII-ემ, რიშელიეს რჩევით, გაგზავნა ერთი ლაშქარი გერმანიას კეისრის წინააღმდეგ და ერთიც ბელგიას ესპანიის მეფის წინააღმდეგ.

22. ფრანგებმა და შვედებმა სძლიეს კეისარსა და ესპანელებს, და კეისარმა ითხოვა ზავი.

23. ოცდაათი წლის ომი საზარელი იყო. 24. ჯარის კაცნი ავაზაკებად იქცეოდნენ, რომელთაც ომი ხელობად გაეხადათ. 25. იკლებდნენ ქალაქებს ან მათის დასახსნელად ხარკს ახდევინებდნენ; ართმევდნენ გლეხებს ჭირნახულსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქონელს; უწვავდნენ ფეხებსა და მუხრუჭით თითებს უმსხვრევდნენ, რომ ეთქმევინებინათ, სადა ჰქონდათ ფულიდან მალული; ხშირად მხოლოდ ქინისათვის აწამებდნენ და ჰკლავდნენ კაცებს. 26. ომი რომ გათავდა, გერმანიაში ქალაქი არ დარჩენილიყო დაუქცეველი და სოფელი აუოხრებელი.

1. რა მოხდა კარლო V-ემ რომ მეფობაზე ხელი აიღო?—2. როგორ გაიყო მისი სახელმწიფო?—3. რას დაემკვიდრა ფილიპე II?—4. როგორ სცხოვრებდა ფილიპე II?—5. რა უნდოდა?—6. რა იყო არმადა და რა მოუვიდა?—7. რა ჰქნა ფილიპე II-ემ საფრანგეთის მეფის წინააღმდეგ?—8. როგორ მოიქცა ნიდერლანდიაში?—9. რა უყო მაჰმადიანებს?—10. რა ნაყოფი გამოიღო მისმა ცდამ?—11. რა ჰქნეს საფრანგეთის მეფეებმა?—12. ვინ ამოუჩნდათ ესპანიის მეფეებს მშველელად?—13. რა უნდოდა ფერნანდო II?—14. საიდან დაიწყო?—15. რა ჰქნეს ჩეხელებმა?—16. რომელი ომი დაიწყო მაშინ?—17. რა ჰქნა ფერნანდომ?—18. ვის შეუერთდა?—19. ვინ მიეშველა გერმანელებს?—20. რა უნდოდა საფრანგეთის მეფეს?—21. საით გაგზავნა ლუდოვიკო XIII-მა ჯარები?—22. ვინ გაიმარჯვა?—23. როგორი იყო ეს ომი?—24. როგორი ჯარის-კაცები იყვნენ?—25. რასა სჩადიოდნენ?—26. რა მდგომარეობაში იყო გერმანია ომის შემდეგ.

123. ვესთფალიის და პირენეს ზავები.—1. ოცდაათი წლის ომი ვესთფალიის ზავით გათავდა 1648 წ. 2. ამ ზავის ძალით გერმანია პატარა სამთავროებად და ქალაქებად დაუოფილი უნდა დარჩენილიყო, კეისარს ხელი აღარა ჰქონდა მთავრებისათვის ებძანებინა და ყველა მთავარს შეეძლო თავის ნებაზედ გაეკათოლიკებინა ან გაეპროტესტანტებინა თავისი ქვეშევრდომები იმ დროს გერმანიაში 350-ზედ მეტი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო.

3. ვესთფალიის ზავის ძალით საფრანგეთს ერგო ალზასი. 4. ამ ზავით საფრანგეთის მეფეს მარტო კეისარი შეეკრა, ესპანიის მეფე კი ისევ ეომებოდა. 5. ესპანია კვლავ დამარცხდა და იძულებული გახდა დაზავებულიყო საფრანგეთს პირენეს ზავით (1659 წ). 6. ამ ზავით საფრანგეთმა მოიგო ორი პროვინცია არტუა და რუსიდიონ. ამას გარდა, რადგან საფრანგეთის მეფეს ლუდოვიკო XIV-ს ცოლად ესპანიის მეფის ასული ჰყვანდა, მოსალოდნელი იყო, რომ ლუდოვიკო როდესმე ესპანიასაც დაემკვიდრებოდა. 7. ვესთფალიის და პირენეს ზავების შემდეგ საფრანგეთის მეფეები ევროპაში უძლიერეს ხელმწიფეებად გახდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. სად და როდის შეკრეს ზავი?—2. რა დაადგინეს ამ ზავით? 3. რა ერგო საფრანგეთს?—4. რას შვრებოდა ესპანიის მეფე?—5. რომელი ზავის შეკვრა აიძულეს?—6. რა მოიგო საფრანკეთმა პირენეს ზავით? —7. რა მდგომარეობაში იყვნენ მაშინ საფრანგეთის მეფეები?

—

შინაარსი (ზეპირად სათქმელი).

I. საფრანგეთის მეფეები და ესპანიის მეფეები, რა ნახეს რომ იტალია ბატარა სახელმწიფოებად იყო დაყოფილი, სცდილობენ მის დაპყრობას და იწყებენ იტალიის ომებს.

II. საფრანგეთის მეფე ჯერ გაიმარჯვებს, მერე კი ესპანიის მეფისაგან დამარცხდება.

III. კარლო V, ბატონი ესპანიისა ნიდერლანდიისა, ავსტრიისა, ამერიკისა და იტალიის ერთი ნაწილისა, და 1519 წლიდან გერმანიის კეისარი, სცდილობს მთელს ევროპას დაეპატრონოს. მარცხდება საფრანგეთის მეფეებისაგან, რომელნიც შეუერთდნენ ოსმალოს და გერმანიის პროტესტანტებს, და ხელს იდებს მეფობაზე 1556 წ.

IV. ფილიპე II, ესპანიის მეფე 1556 წლიდან და პორტუგალიისა 1580 წლიდან, სცდილობს ამოსწყვიტოს პროტესტანტები ინგლისს, ჰოლანდიასა და საფრანგეთში. მაგრამ ვერ დამარცხდება და სტოვებს ესპანიას დაქცეულს.

V. გერმანიის კეისარი ფერნანდო II, ესპანიის მეფის ნათესავი, სცდილობს გაბატონდეს გერმანიაში და იწყებს ოცდაათი წლის ომს (1618—1648 წ.).

VI. კეისარი შეიერთებს ესპანიის მეფეს; მაგრამ დამარცხდება ჯერ შვეციის მეფის გუსტავ-ადოლფისაგან (1630—1632 წ.), მერე საფრანგეთის მეფისაგან.

VII. ოცდაათის წლის ომმა, რომელმაც გააოხრა გერმანია, გათავდა ორის ზავით: ვესთფალიის (1648) და პირენეს (1659). ავსტრიის სამეფო სახლი სრულებით დამარცხდა და საფრანგეთის მეფე უძლიერესს ხელმწიფედ გახდა ევროპაში.

ალ. **სარაჯიშვილი.**